

ლიტერატურული განცემი

№45 11 - 24 მარტი 2011

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

გივი შაჰნაზარი

იქნება...

აი, ახლაც თვალწინ მიდგას ასეთი სურათი: ზაფხულის პაპანაქებას გარიდებული, გახიზნული, თითქმის უკარიილი ქალაქის ქუჩებში ნახეტიალები, უკვე ქანც-გამოცლილი მოთა ჩანტლაძე ზის ვერის ბაღის ერთ-ერთ სკამზე და, თვლებს თუ ფირს მისცემის, ვერ მიხვდებით (ამაზე თვითონ ასე გატყოდა: „თვლება თუ ფირი?..“) მე-გობრო, ეს სულერთია!..“); თუმცა, კი არ ზის... კითხვის ნიშანით მიკარის სულელა, ნიკარი ხმელ გულისფიცარზე ჩამოუდია, ფეხები განზე და გრძლად გაუშლა, ხოლო ხელები — უფრო „გრძლად“ ისე ჩამოუყრია, რომ თითის წევებით მინასაც კი სწოდება... დროდადრო ხან მარჯვენა, ხან მარცხენა გამზღარ მელაგი მექანიკური საფრთხობელასავით (მაპატიოს შენმა სულმა, შოთა!..) ჩონჩხივით „აისვრის“ ხოლმე მაღლა და, ეტყობა, დილით დაბადებულ და მერე მთელი დღის ნამეორებ ორ სტრიქონს პა-თეტიკურად „გვთავაზობს“:

„ინგებეთ რითმა, — „I მ შაჰნაზ მეტ შე ეს ეს!..“

სულსაც მივცემდი კივ კათხა ლუდში!..“

ამ „სანახაობაში“ არცთუ ისე დიდიხნის „ამბავი“ გამახ-სენა. მაშინ მე და შოთა მთელი დღე ერთად ვიყავით. იმ დღესაც, დიდი სიცხის მიუხედავად, როგორც წესი, უნი-ვერსიტეტიდან მოედნამდე (რაღა თქმა უნდა, რუსთაველით!) და მოედნიდან ვერის ბაღამდე ჩავიარეთ და ამოვიარეთ, თუმცადა ცოტა მეტიც კი მოგვივიდა — არა ერთსა და ორ სხვა ქუჩასაც „გადავუხადეთ ხარკი...“

მოგეხსენებათ, სიცხეში ლუდი მისწრება! არადა, ჯიბეში გახვრეტილი შაურიანიც კი არ გვაქვს. მე ჯერ კიდევ ხელმოკლე სტუდენტი ვარ, შოთა კი უკვე უზრუნველყოფილი შესახელო გენიოს „უსახელო გვერდული“ სტუდენტი, ლექსების ბეჭდვაზე უარის მოქმედი, უმუშევარი და ჩემზე არანაცლებ ხელმოკლე... ასე იყო თუ ისე, ჩევნსავით ხელმოკლე ნაცნობ-მეგობრების პატრონებმა „ვარიანტი ვერ ავაგდეთ!..“ დღე თარსი გამოდგა, უფრო სწორად, გამოდგებოდა, რომ არა სრულიად მოულოდნელი, ხელის გამმართველი ერთი რამ...

საიდან „გამოტყვურა“ არ ვიცი, მაგრამ გამახსენდა, რომ რამდენიმე თვის წინათ ახორმში დაბეჭდილი ლექსის პონორარი არ მქონდა აღებული; მართალი გითხრათ, თავის დროზე ასე ვიციერე — ერთი, თუნდაც ვრცელი, თარგმნილი ლექსის პონორარი რა უნდა იყოს-მეთქი და არ მივაკითხე... მომერიდა.

შოთამ ეს აიტაცა, გიორგი გელაშვილია რედაქტორი, კაცური კაცი, მივიდეთ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდაო...

მართლაც ასე მოხდა, რედაქტორმა კარგად მიგვი-ღო. კაბინეტში მობილობებით მარტო დაგვტოვა და სულ მაღე შემობრუნებულმა გვითხრა, შეგიძლიათ, მოლარ-ესთან ჯული აილოთო. ადამიანში, მით უფრო შემოქმედ-ში, რაღაც „ბოჭემური“ არც მისთვის იყო უცხო და ყველაფერს კარგად მიგვიხდა... უთქმელადაც ვიგრძენით, რომ კარგა ხნის წინად გამოვეყენებული ლექსი რედაქ-ციაში არავის უძებნა, პონორარი კი ისე, „უბრალოდ“ გამოვინერა, როგორც იტყვიან — მოჭრით და, რაღა თქმა უნდა, კუთვნილზე მეტიც...

იმავე სალამოს, რედაქციის პირდაპირ, ვერის ბაზრის

ნინ, „სა-ვარაზ-ო“, „სა-დედაბროშვილ-ო“ ლუდხანაში, მე-გობრებთან ერთად შევიქციეთ თავი...“

შოთას არქივში ჩემი ერთი ლექსიც აღმოჩნდა... ეს ლექსის სხვარამდენიმესთან ერთად უნივერსიტეტის ბალში წავუკითხე (კეცხოველისეულ ამ ცნობილ ბალში თავისი „კათედრა“ ჰქონდა და... აკი, ხუმრობით, ბალის მწვანე უნივერსიტეტის რექტორადაც კი ვისტენიებდით!..) და მცირე პაუზის შემდეგ მთხვევა, ამას სათაურის ქვეშ „შოთა ჩანტლაძეს“ წააწერე და დამიტოვეო...

თვითმავლელობა მთვარეში
შოთა ჩანტლაძეს

მდინარის პირას გამტერებულს ტალღა გიტაცებს, საბალაც ყორანი აყეფდება, მთხოვარი ლეშის, წყალში მთოვარება კუბო ვითარცა...
- იმძლავრე, ქარო, ჩასვენება მსურს მთოვარეში!..

მთვარესთან ერთად სჯობს ტალღებმა დაგასაფლაონ, ვიღრე მიჰქონდა საფლავისეულ ხელებს ცოდვაანს; სჯობს განერიდო ბოროტებას ამა სოფლისას, მას უკეთური, სიკეთეზე მეტი სცოდნია.

ცა დედა შენი, ვარსკვლავები ცრემლები მისი და ქარს ჩამოაქს ზეცა დაბლა დედის თვალებით; განწირულ შეილზე გულსაკლავი გოდება ისმის, ცით ვარსკვლავებიც ცრემლებით ცვიგა მთვარეში...

მოწყდი კლდის ქიმს და... აგბედითად გადაირნა ცა, საბრალო შეილი მხოლოდ დედაშ გამოგიგლოვა, წყალში მთოვარე დაიხურა... კუბო ვითარცა და ცივ ლოდებზე მთვარე თბილი გვამით მიგორავს...

ან სევდიანი მთვარე ისევ ზეცისეული იობენს, მდინარის ტალღებს დაუბრუნდეს რათა ამაღამ, რომ იგი კუბოდ მოეჩვენოს განწირულს ვინმეს და მოვარეში მოისურვოს მანაც დამარხვა...

შოთა ჩანტლაძის საბედისწერო სიკვდილის შემდეგ, ხშირად მიფიქრია, რაღა ეს „მძიმე“ ლექსი „იჩუქა“-მეთქი, მისთვის მსგავსი რამ თითქმის ყოველთვის უჩვეულო იყო.

როცა სევდა მოეძალებოდა, როცა მელანქოლიის „შავი ფრინველი“ სულში ჩაეჭრებოდა, დილიდანვე იცოდა და ქალაქში გამოსვლა, მოედებოდა ქუჩებსა და მოეფნებს, ბალებსა და პარებს და გვაინბობდე შინ არ შედიოდა. იტყვიდა ხოლმე, თუ გვარიანად არ დავიდალე, კარგად ვერ დავიძინებ და კოშმარის „ნითელი ეშმაკუნები“ მოსვენებას არ მომცემენ...

გარვეულას ნარმოდებინილც კი მაქვს, „ჩემი მაგიდის წიგნი“ როგორ ინერებოდა. ეს ვრცელი ლექსი, აღბათ, მისი ასეთი „ხეტიალის“ დროს თუ იბადებოდა — სტრიქონ-სტრიქონ, თანდათან:

„ქალაქი ჩემთვის წიგნია —
სქელტანიანი,
ეპოქალური და მოსაწყენი,
ეს წიგნი დასტამბულია მაღალხარისხოვან
ასფალტზე:
პროსპექტი — ერთი ნანილია ამ წიგნისა, —
ეს წიგნი შედგება მრავალი ციგრაფისაგან,



თემო ჯაფარიძის ნახატი

ქუჩა — თავია ამ წიგნის, —

ეს წიგნი შედგება მრავალი თავისაგან.

შესახვევი — ქვეთავია ამ წიგნის, —

ეს წიგნი შედგება უამრავი ქვეთავისაგან,

ჩიხი — ეპიგრაფია ამ წიგნის, —

ეს წიგნი შედგება მრავალი ციგრაფისაგან,

მოედნები — ცარიელი ადგილია ამ წიგნის,

ბალები — ამ წიგნის თავების მხატვრობაა.“

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

დარწმუნებული ვარ, ძნელი არ უნდა იყოს მისახვე-დრად, ამ პატარა წერილში ჩემი უნიჭიერესი მწერლისა წიგნის „როგორ ინერებოდა“. ეს ვრცელი ლექსი, აღბათ, მისი ასეთი „ხეტიალის“ დროს თუ იბადებოდა — სტრიქონ-სტრიქონ, თანდათან:

„ქალაქი ჩემთვის წიგნია —

სქელტანიანი,
ეპოქალური და მოსაწყენი,
ეს წიგნი დასტამბულია მაღალხარისხოვან
ასფალტზე:

პროსპექტი — ერთი ნანილია ამ წიგნისა, —

ეს წიგნი შედგება მრავალი ციგრაფისაგან:

ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

საიტ-უმლო ბარათი — 2

IV-V

ტარიელ ჭანტურია

წიგნიდან:



პრეზიდენტი

ჭრილობა სულის –
იარა ღია –
მათი მთავარი იარალია...

შშიშარა ვარ – მეშინია შიშის! —
ასეთი მაქვს, როგორც ვატყობი, ჯიში...

მეფეს ვინდა დაეძებს –
დედოფალიც შიშველია...

შიშველია არა მარტო მეფე –
შიშველია თვითონ შეფისნაცვალიც...

ამასობაში ის ლამის
მონა შეიქნა ისლამის!

მიდი, წერე ლექსები!
რას გიშველის ე ლექსი! —
ვინ უხსნია ოდესმე
მწუხარების ელექსირს...

მათამოწოდა

ზის კერასთან ჯოულოა
და მიირთმევს შოკლადს!
(სხვა დროისთვის გადავდოთ
დეტალების მოყოლა)...

როცა კარიდან გააგდებ,
ნახავ – ფანჯრიდან მოძრება! —
ასეთი გახლავთ კარლ მარქსის
დედამოკლული მოძლვრება!

ლექსარომატი ჯიას მფლობელს –
მამუკა ხერხეულიძეს

მე თხოვნა შენთან ერთი მაქვს,
მამუკა ხერხეულიძე:
დავგაზოთ სოხუმისკენ და
დავგაზოთ მერხეულისკენ!

რიტორიკული შეკითხვა
ჯემალ აჯიაშვილს

მეც მზარდა შენმა
ბრძენმა თანახმა! *
ის ჩემიც იყოს –
ხომ ხარ თანახმა!

*თანახმა — ბიბლია ძელებრაულად.

რა ვწნა, მე კამათს ვერ დავუწყებ,
უფალო სოსო,
კაცის სახელის მატარებელ
უფალოსოსო!

(ხალხურიდან)


ვინ არ იცის გურიაში
ალმასხნა ორხმლიანი! —
ორი აქვს და თან ორივე
მეჭეჭიან-ხორქლიანი!

მაკოებს და თაკოებს და
თამილებს და ტერეზებს –
როგორია ორხმლიანი,
ყველას აინტერესებს!

ნუხელ ძმაკაცი მირეკავს:
— გაფრთხილდი, ძმაო ტარიელ! —
პასკილანტები ნამდგილად
მოგვჭამენ გენიტალიებს!

ცეოთოვანი ლექსარომატი

პატარა ვენა დამეკარგა,
წითელერანგა!
ან ავლილი, ან ჩავლილი –
ხომ არ გინახავთ!



კოჩობური

უნდა იყო ან სულელი,
ან თახსირი, ანდა მხდალი –
მოიყვანო ცოლად ქალი –
ათას ხეზე გადამხტარი!

(ვარიანტი)

ისე, ისე დავიღალე,
ლამის ტყვია დავიხალე!
(სიკვდილითაც შეიძლება
მოაწონო თავი ქალებს)...

(დედა)

— დანიაში მათხვრად ყოფნას,
არ ჯობს, სახლში ჩამოერეს? —
ერთ ბავშვს მაინც დატოვებდა,
ერთ კაქლის ხეს,
თუნდაც ერთ ლექსა...

(ვარლამია შათე)

— რა მოხდება, შენდანილად
ერთი ცრიმლი დამინვეთო,
ან თქვენ, სოფლის ლამაზებო,
ერთხელ გვერდით დამინვეთო!

დაფიქრდი: როცა გარდაიცვლები,
რას ტოვებ ქვეყნად, გარდა იმ ძვლების!

კიდევ კარგი, მადლობა ღმერთის,
სარ გიორგი ლეონიძე!
შენ ძმასავით გავაქრობდნენ,
შენ რომ იყო... ლეონ ნიცშე!

დარღი ეიგრაციაში

უცხოდ გულდახურული –
მიიჩეარი იქ, სადაც
გამოდგები უცნობად –
იგრეკადაც, იქსადაც...

პოეტის სიცოცხლე –
კატასტროფა!
დანაწევრებული
ათას სტროფა!

პასკილანტმა პრეზიდენტან
ათი წელი ჩაი სვა რა,

ვერაფერი ვერ არგო
მარტო სისხლის გადასხმამ...

მიგგატოვა. წავიდა. წაიყვანა გოდოს ხმამ...

ვიღაც მეუბოე ტიპს
თქვენ დაარქვით პოეტი!

სიკვდილ-სიცოცხლის წილადი
გასწორდა მხოლოდ წინადლით...

თუმც უჯრები ჩემი სულის,
რახანია, ჩაიგეტა –
იმედი მაქვს, შიგ ოდესმე
ვინმე ნალდად ჩაიხედავს...

დღის მეორე ნახევარში –
წვიმა!
ალაგ-ალაგ, რა თქმა უნდა,
ცრემლი...

— თათა, რა იცი თათარაიძის?
— გადასარევი თათარა იცის!

იყო ერთი პერიოდი –
ვატრაკებდით ბერიათი!

პირზაზე ყურმოკრული

— მინდოდა მეყიდა პლედი,
მაყუთი არ მქონდა პლედი!
შეცედი, მოვტეხე პლედი,
და პროსტა ვიყიდე პლეტი!

ი მ

ძლივს მოასწრო ფეხის ადგმა –
ცოლად ყავდა უკვე ათ ქმარს!

ნანატრი გაცორება

ადგა და კარი გამოიმიკეტა!
მორჩა! გუნება გამომიკეთდა!

კლინიკური ლექსარომატი

ექიმებმა მიახარეს,
რომ სიკვდილი გადაიდო!
გაიღიმა!
გაიცინა!
ფეხი ფეხზე გადაიდო!

დედამიწა

ბოლოს მისიც დასრულდება
ალბათ პირუეტები! —
ისევ გაითიშებინ
ადამი და ედემი...

ცახალები ლავა

თუ არ მოვევდი, და თუ მოვრჩი –
შეწევ ფიქრის გამო ვრჩები! —
შენ გიმადლი – დროს ულმობელს
ამ ღამეს თუ გამოვრჩები...

თუმც სიყვარული სიკვდილია –
ერთად თუ ვწევართ – წიმალია!
რაც ჩემ ცალცალკე გვიტირია...
შევრიგდეთ!
მოვრჩეთ!
წამო, ლია...

უკე იწყო თენება –
გადაიკრა ცამ ალი!
მოდგა ცეცხლის ენებით
მზე – მთავარი წამალი...

* * *
კაცს – ენა უსწრებს, საათს – ისარი...

თვალი მოვარი ნაძირალას

ნამდვილ მორნმუნეს რომ თამაშობს
ეგ ნაბიჭვარი –
გულს მირევს მაგის ვითომ ლოცვა,
ვითომ პირჯვარი!

სტრეს-პაუზა: რეპლაზა

ჭამა – სიამოვნებაა –
დიდი სიამოვნება!
ბატონებზე კარგად ვიციო
ეს ამბავი მონებმა!

* * *
ხედავ? – ამ ლამაზ გოგოს! –
ლურჯ თვალებს; მკლავზე – ანაცერს! –
ის მღერის ისე, როგორც
ჩვენი ძვირფასი ანა წერს!

* * *
მეც ვაკეთებ შენს გამო
მარადიულ არჩევანს:
შენ თუ იქ არ იქნები,
სამოთხეშიც არ შევალ...

ნიგზა მინახობი

მეც შევნატრი მაგ თქვენს
ემერსონს და მარკ ტვენს!

* * *
მამის ერთი მაქსიმა
მუდამ მემახსოვრება:
— რა კარგია სიცოცხლე,
და რა ცუდი – ცხოვრება!

* * *
პროფესიები მარადიული:
ბანდიტი,
მკვლელი,
მაროდიერი...

* * *
როცა რაღაცას ვერ ითმენ, არ ითმენ –
ჩქარდება მაჯა, ინყბა არითმია...
ცხოვრება, ჩვეულებრივ,
რატომდაც ყრუა!
აყვები? მორჩა! – ის ლექსი – ურითმო!

...ს

თან – ქალი ხარ, თან – კახა ხარ,
თან – ძალიან იაფიც ხარ!
შენაირმა ხელმიწის ცეცხლს
ტრაკი ბევრმა მიაფიცხა!

ლექსარომატი ნაზის

უფულობა? – კარგით რა! –
ნაზი კაათ მეყოლოს –
ფხალის ნაცვლად არასდროს
არ შემაჭმევს მე ღოლოს!

იგედგაცრუებული ლექსარომატი

რა ააწყობს ამ ცხოვრებას –
სხვისი – ვისი აწყობილა!
აწყობილა კი არა და,
მე მონია, არც ყოფილა...

ცურული გოგონის ალგომას

ერთი ბეწო კუნძულია! –
პანძუნა ტაიტია!
მერე რა, რომ პატარაა –
ქვეყნის დარდი დაიტია...

* * *
ცრემლს და ღიმილს –
ორ ნიღაბს –
ახლა შევრჩით –
ორნილა...

* * *

უცებ ენა დამება:
თავს დაგვცერის სამეგა!

* * *

ერთს – აწვალებს ლექსი და
მეორე – ლექსს აწვალებს!
ხელს წუ უშლით, არ გინდათ! –
ხალხს წვალება აცალეთ!

პროსტატიტიანი ლექსარომატი

ეძლვნება მამაკაცებს –
უკუძლივ ყველას

სვამდა და ფსამდა! და ფსამდა იმდენს –
შეშურდებოდა პორტსაც და ვერფსაც!
ახლა დალევა აკრძალული აქვს! –
წყალს სვამს ცოტას და... იმასაც ვერ ფსამს!

* * *

თუ სამშობლოს აქვს პრობლემა –
თუნდაც ტერიტორიული,
უნდა ყავდეს ავთანდილი,
ფრიდონი და ტარიელი!

* * *

უკვდავებისთვის
ზოგჯერ სიკვდილიც
კმარა!
არა?!

* * *

გაიღო კაფე „მუხამბაზი!“ –
შემოიყვანა შიხობმ ბოზი!

* * *

ნუ შემჭამეთ მაგ თქვენი
შექსპირით და მარკ ტვენით!
რუსთაველი გასმენიათ? –
დიახ, დიახ, ქართველი!

სიხარბის ლექსარომატი

კაცს სიკვდილის ნატვრისგან რომ
ნერწყვი გამოგეყოფა –
მოვტყან მე ის ეპოქა!

თავშეკავებული ლექსარომატი

სიტყვა როგორ დამცდება!
ოლონდ – გული დამწყდება...

* * *

ჯობს, ირწმუნო, რაც მე ვთქვი,
ვიდრე კითხო ათ ექიმს:
დეპრესია დაგენერო?
და ვერ დგები? – ა-დე-კი!

ლექსარომატი-იუმორისაკა

ბარაკში ვარ – ლტოლვილი,
მომელა ბარაკობამა!
ესლა მრჩება იმედად –
ლომი – ბარაკ იბამა!

ფროიდის „ფილონაციულის შესავლის“ რეპლაზა

თუ გინდათ, რო უფრო იდოთ,
ნუ დარჩებით უფრო იდოთ!

* * *

ხან ვთამაშობ ჯოკერს,
ხან ვკითხულობ ჯონ კლერს...
მარტონბას მაინც
ვერ გადავუჯოკერე...

* * *

მეც მყავს სპონსორი ერთი!
ვინ და – მაღალი ლეიტი!

დიალოგი

ეკითხება ცოლი ქმარს,
თან ხელებს შლის ნატიფად:
— ის გოგონა ვინ იყო?
— შენი ალტერნატივა!

რეპლიკა

— ნუ უყურებ ცინიურებ!
თანაც – უკან! —
წინ იყურე!

აპ გამოჩევა თათრი და შავი

ა ძმაო, აბანო! – ნომერი – საერთო!
შეპრძანდი! – იქნება ცოტათი გაერთო!

6...ს ჩივილი

რატოა ნეტა ასე,
რა გავჩინდი მაინც ასეთი –
ამდენ ვარსკვლავში, ცაზე,
ჩემი არ არის არც ერთი...

ქუჩაში

ვინ იყო, ნეტავ, ის სათნო ქალი,
ერთად რომ წასკდა სისხლი და ცრემლი...

გაჩაგლის 13

ნაღდი მწერალი წასულა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული...

პოზუნეალა ლექსარომატი

მეთვაზე, მეპურე, მემანვნე –
ყველანი
ზემოდან
მე მანვნენ...

ესაანელი სტუმრისთვის დათეაგული კოცონი

შეყარეთ ცეცხლში ეს პანელები! –
გაათბეთ ძმები – ესპანელები!

ალმოდეაგული ლექსარომატი

შეყვარებული მეხანძრე ბიჭი
ხან მიწას შესთხოვს, ხან ცას! –
ყველან აქრობს და მარტო საკუთარ
გულში ვერ აქრობს ხანძარს...

* * *

არ სჭირდება ამ ხალხს
ვანგი და დიურერი! –
ულვასანეპალი –
უნდა ერთი ფიურერი!

* * *
კეთილის გვერდით მიტომ აჩენს
მდაბალ არსებას –
უყვარს მამალმერთს, როგორც ჩანს,
დაბალანსება...

* * *
ერთხელ მე თვითონ ვიყავი ლმერთი!
ეს იყო ბაგშვილიაში!

რა ნაღდი იყო და რა იოლი
ბედნიერება მაშინ...

* * *
საბრალო – ძილში გარდაიცვალა! –
ეძინა, ჰოდა – გვერდი იცვალა...

* * *
იმის მიუხედავად, რომ
შენზე ბევრად ვერაგია –
შენი ქმარი, თანა ჩემო,
ღალატებში ვერ აგია!

გურულია ქალგატონება პორცოფილი ნახა

— კაძახს პირში რომ ჩუუდვა
მოსაჭრელი იგი ენა,
ამას ქვია მათ ქალაქში
ნამუსი და ჰიგიენა?

აიდეტაინის პირაზე

ქართველებს დროცა და სივრცეც –
ორივე კიდევიათ სირზე!

* * *

მეც რამდენჯერმე, თქვენც რამდენჯერ –
შევსრებივართ ასეთ სურათს:
აკოცა და იღლიაში
თერმომეტრი შეუცურა...

* * *

ნერს წელინადში ერთ რომანს! –
რა ქნას საწყალმა, ერთობა!
არა მოკლავენ, და ბოლომდე
არ განმენდენ სანაგვეს!

* * *

ისე, საქართველოშიაც
რომ ამაღლდეს შობადობა,
საჭიროა გაიმართოს
ლენინური შაბათობა!

* * *

თუ გამართლდა პროგნოზები
სინოპტიკოს-მარჩიელის –
ნამდვილ თოვლს და ნამდვილ ყინვას
საქართველო მარტში ელის!

აგირანის გაცევა

არტახები გაკვინტა
და გაიქცა აკვინდან!

ნადირობა

ლრუბლებმა მთვარე პირბადი
ძლივს დაიჭირება პირბადით!

პრიტიკოსი არიგებას მცირალ შვილს

დასაწყისი № 42-44

3603არ ჩვენი ძველი სახლის აიგანზე,
მძინავს და მესიზმრება, რომ პაპაშენი
ალექსანდრე ომიდან ბრუნდება — პაპა-
წემის ძმა ოთარა ჰყვება.

1943 წლის აგვისტოს ბოლოა და მე-
სიზმრება, რომ ჩემი ძმა ალექსანდრე ომი-
დან დაპრუნდა და ჩაბნელებულ, ჩაკუნ-
აპეტებულ ნავთლულის საღვურში
კოჭლობით დადის, ზურგჩანთა აქეს მარ-
ტო მოკიდებული, იარაღი არ უჩანს და
გამხდარია, გამხდარი, რო ყურებში სინა-
თლე გასდის. კახეთის მატარებელს ეძებს,
რომ სახლში წამოვიდეს — საგარეჯოში.
თექვსმეტი წლისა ვარ, დაღლილ-დაქან-

ცულსა მძინავს და, აი, ეგრე ცხადად მე-
სიზმრება. ალექსანდრე ზუსტად ათი
წლით იყო ჩემზე დიდი. 1941-ში პირდაპირ
უნივერსიტეტიდან განწვიეს და ომში წაყ-
ვანეს, მაშინ მე ცატეტი წლისა ვიყავი, ის
— ოცდასამის. უნივერსიტეტში სწავლობ-
და ისტორიულზე, ივანე ჯავახიშვილთან,
მთელ ჩევნ ამონცვეტილ ოჯახს მაგრის იმე-
დი გვეობდა — ალექსანდრესი, მაგრამ დაი-
წყო ომი, სტაცეს ხელი და წაიყვანეს,
დაკარგეს, თითქოს ისედაც ძალიან ბევრი
გვმართებდა მაგათა. ვერ დაძლნენ ჩევნი
სისხლით. განა შარტო ჩემი ძმა, ჩემი ოთხი
ბიძაშვილიც გაიწვიეს, ფირუზა, დიმიტრა,
შალვა და პატარა შოთივიკ. მაგათა მამა,
ბიძაჩემი ლევანა თბილისის ჩეკში ცემით
მოკლეს და შვილები გერმანელებს
გაუყარეს ჩასახოცად, რა ენაღვლებოდათ
რა... ორი პატარა ძმა შალვა და შოთივიკ
დარჩნენ კიდევაც იქ. შალვამ ფეხმძიმე
ცოლი დატოვა და შოთივიკ კიდევ თვრამე-
ტი წლისა იყო, რომ წაიყვანეს, ეგც უნი-
ვერსიტეტიდან. ისე მახსოვს, გუმინდელ-
ივით, სუ ხუთი წლით იყო ჩემზე უფროსი,
ვჭიდაობდით ხოლმე, წვერი არ ჰქონდა
ამოსული ჯერ ცხონებულს... ბავშვი.

დამრჩა მთელი ოჯახი საპატრონოდ მე, ამ ცამეტ-თოთხმეტ წლის ბიჭს. სკოლაც ძლიერ დავამთავრე იმ ომიანობასა და უბე-დურებაში. სახლი, მიწები, ვენახი, მიჯნა, სადაც თუ საჭიროვარამო სულ ჩემს კისერ-ზე გადადიდა, ახლა შენ და ზაზა ქურ-დაანთ წყაროზე რომ ვერ გამიგზავნის-ართ, ერთმანეთს რო ხოცავთ, არა შენ წადი, არა შენო. რამდენჯერ იანვარში ჯერ კიდევ დილა-ბნელაზე, ბინდუნგზში სკო-ლაში ან საქმეზე მიმავალს, გათომშილსა და მშეორს, პანკელაანთ მარნის კრამიტები თორნის პურად მომჩენებია. მენატრება ეს ჩემი ძმა ალექსანდრე, სულ ნატვრაში ვარ. გამიჭირდება, შევჩივი. გამიხარდება, ან რა უნდა გამხარებოდა, იმას ვეუბნები. გამწრალია, ვიცი, მაგრამ სულ მაგის მოლოდინში ვარ, რომ ჩამოვიდეს და მიშ-ველოს. ცოცხალი თუა ოცდაექვსი წლის უნდა იყოს, მაგრამ არაფერი აღარ ვიცით, მკვდარია, დაჭრილია, სად არის და როგორ... ვინ გაგაგებინებს რამეს, იმ დროს ვინ გაგაგებინებდა. ბოლო წერილი 1942 წელს მოვიდა – ტასმანის ნახევარკუნ-ძულზე ვართ, ქერჩში გვსხამენ დესანტა-თო და მორჩა. იმის მერე რატომ წელიწად-ნახევარი არ გვიდა და პაპშენის გზა-კვა-ლი დაიკარგა. იმ ქერჩის ამბებზე კიდევ ხმა გამოიდოდა მტრისას. აზოვისა და შავი ზღვა გადაფარული იყო მკვდარი ქართვე-ლი ბიჭების ცხედრებითო. აქაც, საგარე-ჯოშიც, ვისაც სიკედლილის ბარათი მოუკი-და, თითქმის სუ ქერჩიდან იყო. ტიროდა ცხონებული დედაჩემი მართა, კედელს ურტყამდა თავს. აგინებდა მამაჩემი გიორგი: „რასა ტირისარ ჩემს ბიჭს ცოცხლად, მე შენი გამშვების კერა... შენი დახლილარ-თებული კაცუტაანთ ჯიში იტირე, რა სჭირს ჩემს კელაპტარივით შვილს შენი სატირე-ლიო.“ ვიყავო მაგათ გაშველებაში. ამ მამაჩემმა ხო სულ გააფრინა ამდენი დარდითა და ვარამით. ამ ხნის კაცი ხან ვის აუხილდებოდა და ხან – ვის. ადრეც კარგადა ჰყავდა და ახლა სულ გადაირია. ძველი მოჭიდავე იყო, ბატონო და ძალა ერჩოდა. მაღალი, შავგვრემანი, სიბერე-დე კარგად ასხმული, ლამაზი კაცი იყო. ძალაკცები, თავისი კომპანიის ხალხი, გიშ-ერას ეძახდნენ ზედმეტ სახელლად. მაგისამა სამივე ძმა, ჩემმა ბიძებმა გიმისაზია დაამთავრეს, გიშერა კიდევ მეშვიდე კლასიდან გამოიდეს მგლის ბილეთით. რუსული პადეჟებისთვის ვერ გაერთვა თავი და რუსულის მასნავლებელს – ბარა-ვიკი იყო გვარადო, მთელი ცხოვრება ახს-ოვდა, ლინეიკა გადაურტყია შებლზე, თან ეს ლინეიკა ცუდად შებრუნებია ხელში, პირით მოურტყამს და დასკდომია მამაჩემს

Տօսելու. Տօգուցելուս ծոլողմազ շրջպանձու-
դա նաօարցո. Սութացուա Տանյալս Շյունցից
ելու, Տօսելու րոմ ճայնախազ ցացոյշեծու-
լա, ճայնազ ու ամ ծարացոյիտացուու ելու,
նամունու մոցցորդից ճայն ամունու ու լու-
նցոյիտան ելու մունցիցեազ. „Ե՞ր հա, մերկես
իմամարդու պաշաճ, մե մացու ցամշվեծուու
կըրառ...“ մերես կը արա, էպատարա րոմ ար-
կոցուու պատամու ճայն ամամուսու ճայնուու
իմարյունուու, ոյենքա գոմիտորու ցենած. մոյ-
ուաճա մամուն իշենմա նուսամուումա ծայնիմանու
մուսայու ելու — նամունու իմբուան, ցնածու,
հա ծոփու ხարո... նայցանա տացուուտան ցորչ-
շու սաժուուանու. աս, ու, գունու մացարու ხալսես
սաճաւ քուցանուածա, տայուուն մուսայու, յալա-
ցլաճանցու, նեսքուու ցեսեծու, մաժուու մահա-

ბექა ქურხული

ორი მო

ამგ

Digitized by srujanika@gmail.com



ბელი და ეგნი... იქ კი გამოდგა მამაჩემი გიშერა. კარგად ჭიდაობდა. ძველი საგვარეულო ილეთი ჰქონდათ აჩემებული მაგას და მიხაკოს – ჩახვეული მოგვერდი, ისე საიდუმლოდ ინახავდნენ, როგორც თურ-მანიძები თავისი ნამლების რეცეპტს. მეც არ მასწავლა – შენგან მოჭიდავე არ გამოვა, ვინძე დაგტყუებს და დაისწავლისო. ერთი ის მახსოვს, მარცხენა მხარსა სწევდა ნინ, მარცხენა ხელსაც რაღაც უცნაურად გამოისროდა და მზად იყავი. ამ ხნის კაცი ისე სწრაფად მოძრაობდა, ვერც ერთხელ ვერ დავინახე, რას აკეთებდა. თვითონ კვდებოდა სიცილით, რა იყო, კიდევ ვერ გაიგე როგორ უნდაო... მოკლედ ჭიდაობდა ეს მამაჩემი, მაგრადაც ცეკვავდა, თავის ძმასთან, ლევანთან ერთად ძეგვის ქარხნები ჰქონდა ავლაბარში, მაშინ ძალიან მოდაში შემოიღეს ჩვენებმა ეს ძეგვის ქარხნები და იყო თავისითვის, ვიდრე ესენი არ შემოვიდნენ და მამაჩემსაც და ჩემს ბიძებსაც თბილისშიც და საგარეჯოშიც ყველაფერი არ ნაართვეს. დარჩენენ ეგრე... აბა, მაგან ჭიდაობის და ცეკვის მეტი არაფერი იცოდა, თან ხეირიანად ისიც ვერ გაიგო, რა ხდებოდა, რას ერჩოდნენ და რატომ. მაგისთვის პოლიტიკა და გამარჯვება-დამარცხება ჭიდაობისა და ძალის იქით მაინც არ მიღიოდა. მახსოვს სტალინზე იძახდა: „ეს ერთი ბენო კაცი ამდენ ხალხს რანაირად ერევა, როგორ იმორჩილებსო...“ აფარებდა დედაჩემი მართა პირზე ხელს. „განი ხელი, აქ შენი გამშვების კერა და იქ იმისი, ჩემს სახლში რასაც მინდა, იმას ვიტყვიო...“ ხმამაღლა იმათ ხსენებას ვერ უბედავდა და ხმადაბ-ლა კი ჩაიძულებულებდა დედაჩემი: „იქნება, გაგიყენონ შენი უბედური ძმისა და ძმისშვილების გზას, შე საწყალო შენაო...“ მთელი სახლი ჩემზე და დედაჩემზე ჰქონდა მოგდებული, მამაჩემის ერთადერთი საუმე თავისი აზიაციების განმეოდა-გაპრიალე-ბა იყო. ისიც იმიტომ, რომ სხვას არ ანდობდა. საათობით აპრიალებდა, ვიდრე საკუ-

თარ ანარეკლს არ დაინახავდა, ჩაიცვამდა მერე, დაიკიდებდა თავის ბორბლისხელა ოქროს საათს, ოქროსავე ჯაჭვით და გადგებოდა უბანში ან ქვევით ბაზარში. დანარჩენი, სახლი, კარი, არც აინტერესებდა, არც ეკითხებოდა, მაგრამ მაგას ვინ ჩიოდა, უარესი ის იყო, რომ რაც ჩემი ძმა ალექსანდრე დაიკარგა, ძალიან ახირებული გახდა, აურია. ხევსური გაბრიელა იყო ერთი, ყოჩალი, მაგრამ კაცი, სიმოვრალეში ბევრი ლაპარაკი და კვეხნა უყვარდა. უსმინა ერთხელ გორგომ და რა ვიცი, რა არ მოეწინა: „შენ აქ რა ბევრსა ლაპარაკობ, ჩემი ასაკი ხო არ გატყუებს, საცა ფეხები გიდგას, იქ დაგარჭობ კისრითო“ — გამოუცხადა-ეგრე არაფრისთვის. მთვრა-

— гиშერა გაჩუმებულა. მთელმა საგარეჯომ იცოდა, რომ ის საათი გაფუჭებული იყო და გიორგი ტყუშილად, ისე მოსართავად იყიდებდა. დიდი ისარი აღარცა პჟონდა ჩემს დროს. „არ მეტყვი გიორგი ძირი რომელი საათიაო?..“ ისიც ესუმრება რა თავის ჭკვაში. „გეტყვი, შვილო, როგორ არ გეტყვიო, — დინჯად მიუბრუნდა მამაჩემი, — ზუსტად დედაშენის მო... დროაო...“ ეგ რა არი, კავაბეთის დღეობაში, ცეკვაში დაჯიბრებიან, ლეკურის თამაშობაში როგორც მაგის პლეადის ხალხი ეძახდა, რაც დედაჩემი მაგაზე წყევლიდა, რაღა დღროს მაგისი ცეკვაა, შვილი ომში ჰყავს, რა აცეკვებსო... შუა ცეკვის დროს, წრეში ვიღაცას წკული გამოუყვია ჩუმად, რომ ვითომ ფეხი ნამოკრას და შეეშალოს. როგორც ცეკვავდა თურმე აეგრევი გაუჯაბუნებია ხელუეულმა, გულნასული გადავარდნილა ის კაცი. თან ამას ცეკვა გაუჯრძელებია, ვითომც არაფერიო. ამტყდარა ამბავი, ძლივს გამოუყვანიათ, ბედზე ალექსანდრეს ამხანგები შესწრებიან და იმათ უშველიათ. ზედ იმ ზაფხულს კიდევ, რომელ ამბავსაც ვყვები, პანკელანები ოთახს აშენებდნენ და რა ვიცი, რა მოინადინა, ბეტონს მე მოურევო, მამაჩემა. მეც პირველად ვნახე მაშინ, რომ გიშერა მუშაობდა. რაღაცა ხასიათზე იყო, თან უყვარდა ეგ ხალხი, მეზობლები იყვნენ, გვენათესავებოდნენ. მე ხომ თავისითავად ვაშველებოდი... გავიხედოთ და თითქოს ჯიბრზე ზუსტად მაშინ არ ამოიარა აღმასკომის თავმჯდომარებ? მოადგა ღობეს და იფშვენეტავს თვალებს, პირველადა ხედავს გიორგის ნიჩაბი ეჭიროს ხელში: „პა, აქა ამ კერძო ეზოში კარგადა მუშაობ არაო...“ შემოვარდა ეზოში და უტაცა ნიჩაბზე ხელი — ვდგავართ, ხალხით არის იქაურობა სავსე, ვუყურებთ ეგრე პირდალებულები, მე კი გამიცივდა წელი, მივხვდი, რომ რაღაც მოხდებოდა. ან ის აღმასკომის თავმჯდომარე რა ჭირმა ატეხა. წადი რა შენი გზით, გაშერა რომ მინდორში არ იმუშავებს, არ იცი?.. ან ამას რა გული დაერწა პანკელანთ ნიჩაბზე, ჩვენი არც იყო, ჩვენ სახლში ნიჩაბს რა უნდოდა. ბოლოს ერთი გამოგვხედა მამჩემა, თვალები ცუდად დაუნგრილდა და ამ სიჩუმეში უცებ ამიტიფხუუნა — „წადი ერთი შენი გამშვების კერა და დედის ტრაკიო“ და რო ამოუშვა კაი გამართული გარესარმა ამ აღმასკომის თავმჯდომარეს — თვითონ გარეკაურს ეძახდა, აინია ეს ამხელა კაცი და პირდაპირ თავით გაერჭო ახლადაზელილ ბეტონში. ძლივს ამოაძრეს. ახლა ამაზე ატყდა ამბავი. დაჭერილიცა ჰყავდათ ცოტა ხანი. ისევ ალექსანდრეს ამხანგებმა და მისმა სახელმა უშველა, თან გახურებული იომი იყო, კარგად ვერ მოიცალეს, აქეთ ჩემი ძმა ფრონტზე იყო და მაგრად გადარჩა, თორემ მართლა მიაყოლებდნენ უკან, თავის ცხონებულ ძმასა ლევანს და ძმისძვილებს — ისიდორე მღვდლის ბიჭებს.

ვიყავი ეგრე შავ დღეში, აქეთ იმში დაკარგული ძმა, აკივლებული და გულნასული დედაჩემი, იქთ გადარეული მამაჩემი, რომ ვერ ვაკავებ და ველოდები ამ ჩემს ძმას ხსნასავით, მაგრამ არ ისმის არაფერი, არც ავი, არც კარგი... ცოტა ხანში ამბავი გამოვიდა ერთ გიორგიმინდელ ბიჭს, მეკოვიანთს, ცოცხალს ჩამოუღწევით ის უბედური ქერჩიდან. ამკიდა დედაჩემის მორთამ კოკით ღვინო, ოთხი შოთის პური, ამომჩარა ილლიში დედალი და გამამგზავრა გიორგიმინდაში. მივდივარ თან ფეხი უკან მრჩება. რომ მითხას იმ გიორგიმინდელმა, მოკლეს შენი ძმა ალექსანდრე, აღარ არიო, რაღა უნდა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდეთ თან გზაში იმ ოთხი შოთი პურიდან, ორი დავაყუშმბარე პატიონსად. დამხვდა ის საწყალი მეკოვიანთ ბიჭი უბედურად, ცალი ფეხი აკლია, მეორე მუხლს ქვემოთ გახმობია, მარცხენა ხელზე თითები აქვს მოწყვეტილო. საჭმლისათვის ზედაც არ შეუხედია, ღვინოს კი ძალიან დაეწაფა. ჩემი ძმისა ხო არაფერი გაგიგია-მეტქე? რა შენი ძმაო — გიორგიმინდელმა, მოკვდა სიცილით, მკვდარიც კი არ დარჩენილა იქა მთელი, განა თუ ცოცხალიო, გაგიჟებული იყო საცოდავი, ხან იცინდა, ხანა ტიროდა, მერე ისევ ხარხარს მოჰყვებოდა, თოფიც კი არა გვქონდა, თითო კაცს თითო მესერშმიტი დაგვდევდა, როგორც ბაზარში, ისე იყო გაშლილი ადამიანის ხორცი, გაჯერდა მინა და ზღვა ქართველების სისხლითო. მერე რო დაითვრა, გინება დაინყო და წამოვედი. დედაჩემს ვუთხარი, არაფერი იცის

ევას პურის თავთავის ზაპრეტნი რასტოკები აჭამა.
— აბა, ვაშლიო?
— ამათი ვაშლი პურია. პური და ვაშლი არ გიჭამია
ერთად?
— პური და ვაშლი?
— ე, მაგრა მიღის პარაში.
— თავთავის ზაპრეტნი რასტოკები რა პონტია?
— აკაიფებს ალბათ. კაიფი კიდე არ მოსულა. მაგრამ
მალაქ-თაუზი მაიც ყველაზე მიღნია. ეგრე ამბობენ მა-
გათი ძველები: დრო მოვა და მაგას ყველაფერს აპატიებს
ლმერთი. მეორე ადგილზე არის შეის ადი — ბრძენი და სე-
ტო კაცის ობლიკში, აი, როგორც ჩემი ძველი ნაცნობი
მოხუცი ადი და ყველაფერი იცის თვალდახუჭულმა, რაც
ამ ქვეყანაზე ხდება. მესამე ანგელოსი კიდევ მალადო
კაცის ვიდზეა და აქაური მალადო იეზიდების სახეზეა
აძინ ნა აძინ. აზზე ხარ? არადა, თავიდან, როგორც ყველა
მსობლიობში, მაგათ ყველაზე დიდი პატივისცემა ქონდათ
მზეზე, არაურეზე და ცეცხზე, და მერე ყველა რო აზზე
მოვიდა, ეგენი ამათზე გადავიდნე.
— შენ საიდან იცი ეგეთები?

— ე, მე რა, რულით და ტორმუზით კი არ დავიბადე...
მაგნიტოგორსკში მსოფლიო ისტარიჩესკი მაქ დამთავრე-
ბული.

ჰოდა, ამ დროს მარცხენა ტყიდან ისევ გამოვიდა
დოდო — დიდ წვიმაში მოყოლილი გალუმპული ქუჩის
ძალივით თუ სველზე სველი ქათამივით. უცცე შემო-
ვრა მანქანაში და ისევ პირჯვარი გამოისახა.

— ნახე? — ვკითხე მე.

— ყველა დადგილზეა.

— ღმერთი აცხონებს. — თქვა ილო ცაცანმა და დო-
დოს მაგნიტოფონზე მიუთითა, საიდანაც ზარას იეზი-
დური პანგი იღვრებოდა. — ეს მომძერალი გოგო იცი? ლენინგრადელი ზარას. კაი ხმა აქვს. ისეც კაი გოგო.
იეზიდია.

— იეზიდი? — დაფიქრდა დოდო და იქვე გამოერკა, — ჩავეთ ქვემოთ. მაგრა წვიმს.

— ისე, დიდი ნიჭის ხალხია იეზიდები, — მიაგელვებდა
წვიმაში მანქანას ილო ცაცანი, — აი, ჩვენ ხომ ჩვენი ისტო-
რია ვიცით, მაგრამ მეოდები უფრო კაშერ-
აზიტი ხალხია, მაგრამ თან სტრანი. შენ იმას იცნობ? —
გახედა ილომ დოდოს, — ალექსეეველი პოლუ-ბარონია,
იეზიდი — ჟეზიზი. ის ყველას იცნობს.

— ჟეზიზი? — გაკვირვებით გადმოაპარა ჩემენ თვა-
ლი დოდომ.

— ნალი კაცი. კაი პურიმჭამელი რო იტყვიან. კაი
დამრტყმელი.

ჰოდა, ეგრე ვიარეთ. ილო ცაცანი მთელი გზა იეზ-
იდებზე გვიამბობდა. რომ გავივაკეთ და ისევ ქველ ფი-
ლარმონიასთან მივედით, დოდოს ილო ცაცანმა ზარას
კასეტა აჩუქა და კეთილი გზა უსურვა. დანერულმა დო-
დომ წილი „მარბოლი“ დაუტევე. მე ლორანი მევეცი.

— კაი კაცია ე შენ ძმა, — მითხრა ილომ დოდოზე, —
აგრე მე დეარჩემის საფლავზე სამი წელია არ აესულვარ,
ეგ კიდე ტალაში და წვიმაში ავიდა... ნალი ფირმაა.

— მერე ად შენც, მზე რო გამოვა.

— ავალ. ოლონდ მაგ შენ ბრატუხას უთხარი, პირჯ-
ვარს რა პონჩი ინერს — იეზიდია თუ ჩესასლავაკა?

— ვეტყვი, მა რას ვიზამ, — მივუხურე კარი და ნახრიგ-
ინდა ისიც იმ თავისი ფარლალა, ჭალაროსანი შესტით.
სველზე სველი დოდო კიდევ ზარას კასეტით ხელში არკა-
ში კანკალებდა და მელოდებოდა.

— მაგარი ესხა, აი, — მითხრა და კასეტას დახედა. — ეს
რათ მინდოდა?

— გაჩუქა. ხომ არ ნაურომევია? კაი გოგოაო.

— რა იეზიდები. აბა, მალავანი ვარო?

— რას გაუგებ დილის შოთებს. იორიე?

— ტყველი ხომ არ ვაჭყალაპუნებდი? — მიირტყა ხელი
ჯიბეზე დოდომ, — გასაშრობია.

ჰოდა, ავედით უკან. ნაქირავებში. გამორთულ კომპ-
თან. გაზის ქურასთან. კულტურულ მცხანარებთან. ფორ-
ტორებიან სამზარეულოში, საიდანაც ყოველთვის ფუნი-
კულიორის ანძა ჩნდეს და კადევ დიდები სველი ტოტე-
ბი. გარედან ალბათ ჩვენი სახეები იღანდებოდა: ორი თახ-
სირის — გაღიმებულების და მომლოდინების.

— რაღაც სტრანი სასაფლაოსთან დამირგავს, მე
სირს... — გამოტყდა უცცე დოდო.

— ახურეფ!

— ბენლოდა მაშინ.

ჰოდა, გვიყურებდნენ დოდის სინათლეზე ეზოს სველი
წინვები, მორიდან ფუნიკულიორის ტელე-ანძა და შორი-
ახლოდან დაბალი ჩიტები. გახედავდნენ როს: მე და ჩემ
მეგობარ დოდოს, რომელსაც ცხოვრებაში პირველად,
სულ ნახევარი საითით, თან ისე, რომ თვითონ ვერ გაიფ-
იცეს ვეგებმონატრებული იეზიდობა ერგო. მერე მოკუბი-
ნეთ ზარას, მერე გაზებდი კიდევ უფრო მშვები,
მშრალები და ზეცდან განკვეთილ ანუ მავნე ანგელოზ-
თა დასიც შეებგა მტკერის მარცხენ, სანაპიროს და გადა-
ინაცვლა მარჯვენაზე. მე კიდევ გავედი ჩემ თახში, სან-
ერ მაგიდასთან დავჯე და სისხლისფერი კალმით თეთრ
ფურცელზე გამოვიყვანე სველზე სველი ასოები:

„მე დოდოს ვალი მაქვს. ვერასდროს რომ ვერ გადა-
ვუხდი ისეთი. დღეს აქ ეგეთი სიტუაცია: მე ვნერ რო-
მანს, დოდო ერთობლივ გასხივოსნებაზე ზრუნავს, ერ-
თად ვუყურებთ კინოებს და სოფელიც განუწყვეტილ
შენებაშია: გარეთ სოკოებივით მრავლდებიან ფერადი
კორპუსები. შორს სოკო ფეხებსა და გენიტალიებზე! მეტი
რაღაა? ა, Ⴢო. ალბათ ის, რომ ისე და შემთხვევით არაფერი
არსებობს. ისიც, რაც გვინია რომ საერთოდ არ არსე-
ბობს, ისიც კი არსებობს, თუკი გულით იტყვიდა და იჯერებ
რომ არსებობს. სიტყვა სიტყვა და გინდა სველი იყოს,
გინდა მშრალი, სიტყვა სიტყვა ნალი არაფერი გამოუგზავნი-
ათ ზემოდან ქვემოთ. ეგრეა, მე ვიყო ილო ცაცანის სველზე
სველი, ჭალაროსანი ნოლ-შესტი.

ირმა ბერიძე

* * *

დღეს ისე მინდა მოვიდეს თოვლი, ჭრელი ციგით და ხელთათმანებით
და ჯერ ძალიან შორს იყოს კიდევ დიდობის ჯვარი და მოთმინება.

მეწვიონ ზამთრის თეთრი ჩიტები, ძველით ახალ წელს — ძებო და პაპა,
ფანჯრის რათაზე ბამბის ჯეჯილი
ჰყებოდეს ქრისტეს აღდგომის ამავას.

ჰყვაოდეს ნუში, მიყვარდეს ვილაც, წუთით გაბრწყინდეს ბინდი ჩვეული,
არ ვიწვე ასე მშვიდად და ნებით,
წუთისოფლისკენ ზურგშექცეული.

ჩავი ეზოს ხევას

ჩემი ეზოს მოლურჯო ჭანჭურების ხეებო, მოგივედით, გამიღებით ულამაზო თვალები,
გამამაცეტ აპრილში თქვენი უბრალოებით, მერე შემოდგომაზე — ჩუმი გარდაცვალებით.

თქვენ ხელებზე ნანაობს უძინარი ბავშვობა, (რამდენჯერ ჩაგყოლითა ჩემს სარკმელში თითები),
თავგანწირვით სდარაჯობთ მიტოვებულ აივანს, მერების გიცემთ გულივით ბუდეები ჩიტების.

ჩემი ეზოს ერთგულო, ნაომარო ხეებო, დღეს მომინდა და ხევთქილ ტანზე ფრთხილად შეგეხოთ.

* * *

არ ვკვები არაკას — სიყვარულით მივდენი დღეებს, უთაკარესი მერამდენები დილა გათვნდა...
არ შემიშვის შურის ფილიაც კი,

დარაჯად ვდგავარ
გულის კარებთან.

გაგილის ხსოვნას

შენი უბრალო საფლავის ქვის ფულს დღესაც ვაგვებმა და დოდო
არ გვემდებურები, დარდობ, უშენოდ ზამთრის ყანებში რა გვებებდება.

ვინ დაგვიკერებს, მოგვიქსოვს წინდას, ვინ დაგვიშაქრას უოლის და პანტას...
შენი უჯვარი საფლავის მინას თებერვლის ქარი აპნევს და ფანტავა.

ახლა ბოდიში როგორ ვიკადო, სირცევილმა მხრებში მომხარა როცა,
რაც თავი მასხსოვს გროვებ, გლალატობ შენ კა სანაცვლოდ მტოცაც და მლოცაც.

ახლა ბოდიში როგორ ვიკადო, სირცევილმა მხრებში მომხარა როცა,
რაც თავი მასხსოვს გროვებ, გლალატობ შენ კა სანაცვლოდ მტოცაც და მლოცაც.


0...ს

თაერაკიდულო შროშანო, დამცხერალი ზვავის ნატეხო,
შენთან რამდენჯერ გავიყავ ბალამითაფლში ნანები,

შემოგეყუჟნებ თვალებეკვეშ ბუდემოშილი მერცხლები
და ასე თვალებდამერცხლილს

განს დაგრჩა ოქრო-ვერცხლები. ზედ გულის კოვზე დანურე
ყოფნის ჯავრი და დარდები, ცისაც მიყვები ბილიკებს

მოხრილ ფიქრთა ხა



ლადო კილასონია ამპავი მიხას პაპისა

ავხედე, ხუთი იყო, ესე იგი ან გიო და ნინი მოვიდნენ, ან კიდევ სანდრიკა, შუშაბანდში გაედი და კარი გამოგადე.

— როგორა ხარ, ბიჯო, ჰა? — ზღურბლზე მიხა იდგა.

— ვაა, მიხა, — ვთქვი, ერთმანეთს გადავეხვიერდ და მე წამით დაეიმალე, გაექრი მის გოლიათურ ტორებსა და მხრებში. მინის სუნიას დიონდა, მიხას ყოველთვის მინის სუნი ადის.

— რამ ჩამოგიყვანა აქეთ? — ვიკითხე ბოლოს, როდესაც, როგორც იქნა გამოვკერი უზარმაზარი მეტრის ქვემოდან და სახლში შევიყვანე.

— რამა და თვალმა, ბიჯო, ე საოხრე, მგონი გაფუჭდა თუ რა, არ ვიცი, ხეირანად ვედარა ვედამ, აი, თითქო ბინდი გადამეტარსო, თავიდან არ ვამბობდა, მარა მერე როცა ვთქვი, მირჩიეს, ციალა როა ჩვენენა, კუდიანი... ჳო, იმანა, წადი გაესინჯე, ვინიცობა მეორე თვალზედ არ გადაგივიდეს და მთლად არ დაბრმავდეო, ვიფიქრე მეტა, წამოვედი და აბა, ვისთან უნდა მოვსულიყავი თუ არა შენთანა.

— კარგია, რო მოხვედი, ოლონდ დღეს სტუმრებს ველოდები და ექიმთან ხვალნავიდეთ, — ვუთხარი მე.

— როგორც შენ იტყვი, ისე ვქნათ, აი, სოფლიდან ჩამოგიტანე, — მითხრა, უბრალო სპორტული ჩანთა გახსნა და იქიდან ერთი მეორის მიყოლებით ამოალაგა: მოხუცებივით თეთრად დაპენტილი დიდი ჩურჩელები, გუდის ყველის მოზრდილი ნაჭერი, მანდარინი და ორლიტრიანი ბლასტმასის ბოთლი, რომელშიც მძიმედ ლივლივებდა ბლაზტი სითხე.

— ჩვენებურია, ორაზადი, — და თვალი ჩამიკრა.

ვუყურებდი ამ უბრალო, გლეხურად ჩატურულუზარმაზარ ბანჯველან კაცს, მის დაჭმულუზე ფეხსაცმელებს, გრძელ, სწორ, შეაშარვალს, ჭრელ პერანგს და მითონ ჩემი ბავშვობა მახსენდებოდა. მახსენდებოდა ობეგვარავარდნილი ცხელი ლავაშისა და ყველის გემო, ფეხბურთიდან დაბრუნებულზე რომ გვახვედრებდ ბებია, ვარსკვლავიანი ლამები, როდესაც სხვის ყანაში შეპარულები დავინახავდით, როგორ წამით აირევლავდა შავადქეცეული, ფოთლებს ქვემოთ შეყუული საზამთრო მთვარის შექს და პატარა გულებს სიხარულით აგვისებდა, ახლადადადებული თოვლის შრაშუნიც გამახსენდა, ფეხევეშ რომ გვეტყეანებოდა და თეთრი საბენების ქვეშ მძიმედ თავდარილი ხეების სიღრმიდან აფრენილი შაშვებიც, შავ ჟეპლებად რომ მოედობოდნენ ქათქათა არემარეს.

მიხა ჩემი სოფლელია, ბავშვიდან ვძმაკაცობთ, ეგეთი ალალი და წესიერი კაცი იშვიათად შემხვედრია. ერთი შეხედვით კამურტალი შესახედვი, შავთმიან, შავწარბა, დევივით მოხეული, დიდი, თეთრი, ერთმანეთში აბლანდული კბილებით და მონგრეული ცხვირით, მაგრამ მაგისთანა კეთილ გული ბარე ირს თუ მოქებენა აშ ქვეყანაზე. დღემდე ბავშვეითა, უბრალო და ძალიან მორიდებული. ხო, სოფელში გაზრდილია, არ თუ საქონელი, ქათამიც კი არ დაუკლავს, ვერ უყურებს, პატარაობაში სახლიდან გარბოდა ხოლო, ახლა კიდე, თუ იმის რეგაბში სუფრის სამზადისია, გაიდეს მხარზე ცულს და დილადრიანად მიდის ცყეში, რომ გოჭის ჭყივილი ან ხბოს ზმული არ გაიგოს.

თანაც საშინალად ლონიერია, მაგრამ ჩემი არ უყვარს, სულ ირჯერ მაქეს ნაახი მაგის მოქეული ბელი და ვისაც მოხვედა, ფეხზე არ დარჩენილა, ერთხელ მე მცემეს გვერდზე სოფლელებმა (ლირი ვიყავი, დავთვერი და გავუტრრაკე). უკანა გზაზე შემხვდა, ყველაფერი წვრილად გამომკითხა, დამამშვიდიდა, დამატებით როგორ ჩემი არ გამომოვიდნენ.

მე თავდახილი ვიდექი, ხელები მიკანკალებდა და რაღაცის თქმას ვლამობდი, ისინი კი ისხდნენ, მკაცრი, უძრავი, თითქოს გაყინული სახეებით და უხმოდ შემომყურებდნენ.

ზარის ხმამ გამომაფეხიზე, სწრაფად გავაზილე თვალი და შებლზე მოვისვი ხელი, ცივი მოლი მედო, ნამოვდექი, საათის

ენას აღარ აჩერებს. იქ ყველაფერი ჩემია, ყველა ქვა და ყველა ორლობებ ხუთი თითოვითა ვიცი და იმიტომო — მითხრა ერთხელ.

დავსხედით მე და მიხა და დავიწყეთ სოფელზე ლაპარაკი, რა ხდება ახალი, ვინ როგორ არის და რას აკეთებს.

ხუთ წუთში კარზე დააზარუნეს, ნინო და გიო იყვნენ. ნინო, როგორც ყოველთვის, კარგად გამოიყურებოდა, შევით მეტები ჩამოეშალა, ჯინსის შარვალი და მუქი მწვანე ზედა ეცვა და ძალიან უხდებოდა, გიო კიდევ, როგორც ყოველთვის, კითხვის ნიშანივით გაღუნული და პახმელიაზე ძლიერს დაათორევდა გამხდარ ფეხებს.

მიხა გავაცანი, სასაცილო სანახავები იყვნენ ეგ და გიო გვერდივგერდზე, სუფთა ჰალკი და კახა კუკავა.

— სასამორენია, — ხელი გაუწოდა ნინომ და თავისი მშვიდი, ბოთლისფერი თვალებით ახედა ქვემოდან.

მიხამ ხელი ჩამოართვა, რაღაც არ გაითლდა.

მე სუფრა გავშალე, დავსხედით და დალევა დავიწყეთ. ლაპარაკით სულ ჩვენ ვლაპარაკობდით, მიხა ჩუმად იჯდა, მხოლოდ ჭიქს გვიფახუნებდა და სულმოუსებმელად აცლიდა არ გაიდაგივიდეს და მთლად არ დაბრმავდეო, ვიფიქრე მეტა, წამოვედი და აბა, ვისთან უნდა მოვსულიყავი თუ არა შენთანა.

— კარგია, რო მოხვედი, ოლონდ დღეს

სტუმრებს ველოდები და ექიმთან ხვალნავიდეთ, — ვუთხარი მე.

— როგორც შენ იტყვი, ისე ვქნათ, აი, სოფლიდან ჩამოგიტანე, — მითხრა, უბრალო სპორტული ჩანთა გახსნა და იქიდან ერთი მეორის მიყოლებით ამოალაგა: მოხუცებივით თეთრად დაპენტილი დიდი ჩურჩელები, გუდის ყველის მოზრდილი ნაჭერი, მანდარინი და ორლიტრიანი ბლასტმასის ბოთლი, რომელშიც მძიმედ ლივლივებდა ბლაზტი სითხე.

— საუბარი მოწყვეტილი ფოთოლივით დასრიალებდა აქეთ-იქით და ყველაფერს ეხიბოდა. ქალაქით დავიწყეთ, მანადატურებზე გადავედით, რამაც პირდაპირ მიგიყვანა მთავრობასთან, იქიდან არც იპოზიცია იმდებით და გემოლიდა იყო შორი, ასე რომ, მათაც არ გაიდაგივიდა, მერე კი ნელ-ნელა დავთვერი და რაღაცნაირად მიმავიწყებდა კიდეც.

— საუბარი მოწყვეტილი ფოთოლივით დასრიალებდა აქეთ-იქით და ყველაფერს ეხიბოდა. ქალაქით დავიწყეთ, ნიხლებით შემდგარან ვლაპარაკი, ნაუქცევითა, ნიხლებით შემდგარან და მთლად დაუსისხლიანებიათ, ისე რომ, ლაზარეტში მომხვდარა. იქიდან რო გამოვიდი, ისეთი გამხდარი ვიყავი, ნაბიჯის გადადგმისას მუხლები მეკეცებოდა, მარა მაიც უარზე გასულა, არ ავიდებ ცოცხეს ხელში. და ერთხელაც დგას თურმე ტყის პირა მარტო, რო უცებ მოვარდნენ და შემოეხვივნენ გარსა, არ დაგვმორჩილდები და აგე ამ მინაში გაგითხირთ სამარესო და აგე ამ რუსებს და ერთო-ორი მაგრა-დაც დაუთეთვებამს, მარა დასევიან ვირთხებით, ნაუქცევითა, ნიხლებით შემდგარან და მთლად დაუსისხლიანებიათ, ისე რომ, ლაზარეტში მომხვდარა. იქიდან რო გამოვიდი, ისეთი გამხდარი ვიყავი, ნაბიჯის გადადგმისას მუხლები მეკეცებოდა, მარა მაიც უარზე გასულა, არ ავიდებ ცოცხეს ხელში. და ერთხელაც დგას თურმე ტყის პირა მარტო, რო უცებ მოვარდნენ და შემოეხვივნენ გარსა, არ დაგვმორჩილდები და აგე ამ მინაში გაგითხირთ სამარესო და ის ისა უნდა ეცნენ, რო გამოსულან ტყიდან ჩერნები, ახმედა ჰყავდა მეთაური, მარა დალალი, ხელი ბიჭი. გაპხარებია ბაზუაჩემს და დაუყვირნია რუსულად, ახმედ, შენც აქ ხარო? იმას კიდი, ისე რო რუსებისთვის თვალიც არ მოუშორებია, უპასულია: ა კაკეუ! ისეთი ძალა ვიგრძენი, მთელი ჩემი ცხოვრება რო არა მქონია, რო დარევიან თურმე ამ რუსებსა, იმდენი უბათურებიათ მართლა რუსის ბარაბანს არ მოხვდორია. მარტო ვიყავი იქ ქართველი და ორი წელი მასავით მივლიდნენ, მაგათი შიშით თითო ალარავის დაუკარგის დაუკარგის უკარგის და ახმედასთან, ერთხელ ჩერნთანაც ყოფილი მოგანახვანი იმახსენდება ბების მოგახერხონ.

— მერე შენ სხვას რას უყურებ, შენ ხომ იცი, როგორ უნდა მოიცე, იარე და ისე მოიცეცი, იქნებ ვინმებ მოგბაძოს, ნინო არასოდეს თმობდა რამეს იოლად.

— მაგაშიარ არის საქმე, მეშინია, შეიძლება მივიდე და დამხვდეს ვილაც მამამ, რომელიც მეტყვის, რო მაჟმადიანი არ ცხონდება და მაგის მერე ვაშშე აღარ გავიხდავ იქით.

— აუ, ისე მაგაზე მაგარი ანეკდოტი გამახსენდა, — გამელდომა შე, — სტიქაროსამა მომიყვა, მართმადიდებელი რო მოკვდება, იცით?.. კაროჩე მოკვდება და მოხვდება სამოთხეში. ჰოდა, რო გაცდებიან, ამას დაათინტერესებს მიუ

მიხო მოსულიშვილი:

မနေ့နာဏ်

„არასოდეს ვიცი, საით წამიყვანს ამგავი“

მიხო მოსულიშვილი 80-იანელთა თაობის ნარმომადგენელია. ეს ის თაობაა, რომელიც, გარკვეულწილად, უფროსი თაობის გავლენისა და ჩრდილქვეშ მოქმედა. თთარ ჭილაძის, გურამ დოჩანანაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის შემდევ ასპარეზზე გამოს-ვლა რთულიც იყო და საბასუხისმგბლოც, თუმცა 80-იანელებმა ეს კომპლექსი და-ძლიერს. სამაგიეროდ, მერე აირია მონასტერი — ჯერ საბჭოთა კავშირი დაიშალა, მერე ომი დაიწყო — ერთი, მეორე, მესამე და მნერლებმა კალმის ნაცვლად იარაღი აიღეს ხელში. ვინც იარაღი ვერ აიღო, დეპრესიაში ჩავარდა და წერას საერთოდ დაანება თავი. ქარტეხილებს თითო-ოროლაბ გაუძლო. გაუძლო და ისევ ლიტერატურას დაუბრუნდა. მიხო მოსულიშვილი ერთ-ერთი მათგანია — საინტერესო ავტორი, რომელიც უხმაუროდ აკეთებს თავის საქმეს და პოპულარობას არ ედებს. მასთან ინტერვიუ სწორედ 80-იანელებზე საუბრით დავინიც.

— კომპლექსიც იყო და ეპოქამაც განაპირობა, რომ ჩემი თაობის ნიჭიერება მნერლებმა, რომელთაც სერიოზული სათქმელი ჰქონდათ, სანახევროდაც ვერ გამოავლინეს შესაძლებლობები. იმ პერიოდში გაბატონებული იყო კომუნისტური ნომენკლატურა, რომელიც მხოლოდ თავის გვერდზე მყოფებს აღიარებდა. ე.წ. „სასტაციები“, „იგივე კლანები“, გარეშე პირს წარმოჩენისა და წინ წანევის საშუალებას არ აძლევდნენ. სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო არ ჩანდნენ საინტერესო ავტორები. მერე დროც აირია, დაიწყო იმპერიის მსხვერევა, ამას მოჰყვა სამოქალაქო ომები და ლიტერატურისთვის ვიღას ეცალა. არადა, რამდენი კარგი მწერალი მოიდიოდა!

— თქვენი, როგორც რედაქტორის გამოცდილებიდან რას გაიხსნებდით?

— სამი წლის წინათ ერთ-ერთ გამომცემლობას გოდერძი ჩიხელის რჩეულის გაკეთება უნდოდა. მე გოდერძიზე დავწერე ესეები, „სულის ბეპელა“ და ის რომ წაიკითხეს, გადაწყვიტეს, ჩემთვის მოეგართათ. ჰოდა, შევადგინე კრებული, რომელშიც მხოლოდ გუდამაყრული მოთხოვნები შევიდა. გოდერძის მთელი ძალა ხომ ამ ხეობაზე დაწერილ ტექსტებში იმაღლება, რომელსაც თავად ბინდასფერ ხეობას ეძახის. როგორც კი გუდამაყრას გამოსცდება, მის ხანერს ისეთი სიმძაფრეა ალა აქცვა.

80-იან წლებში იყვნენ ნიჭიერი პოეტები – ბადრი გუგუშვილი, ომარ თურმანაული, გელა კიკოლაშვილი, რომელიც იმ პერიოდის ქარტეხილებში ჩაიკარგნენ. პოეტები ხომ უფრო ადრე გრძნობენ კატაკლიზმებს და უშალ რეაგირებენ კიდეც – ბადრი გუგუშვილმა თავი მიიკალა, ომარ თურმანაული საფრანგეთში წავიდა, გელა კიკოლაშვილს კარგა ხანია აღარაფერი დაუწერია. ამას სინათ „ფეის-ბუქზე“ მისი ძევლი ლექსების ბმული დავდე, — „არმურზე“ არის გახსნილი იმისი გვერდიც, სხვა 150-მდე პოეტთან ერთად. ისეთი კარგი გამოხმაურება ჰქონდა, ძალიან გამიხარდა. ბევრი დღევანდელი პოეტი რასაც წერს, გელა კიკოლაშვილი და იმისი თაობა იმას ოთხმოციან წლებში აკეთებდა, უბრალოდ, მათი შემოქმედება ნაკლებადაა ცნობილი.

ოთხმოციანელი იყო ქეთი ნიუარაძე – უნიტიერესი პროზაიკოსი და მთარგმნელი, იმანაგა თავი მოიკლა...

ისახავდნ თავის ურიებელის.
ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო
თაობა იყო, მაგრამ სხვა ყაიდის მნერლები
იყვნენ, მოდურობისა და სკანდალების
მოთხოვნილება არ ჰქონდათ, როგორც
დღეს ახასიათებს დამწყებ და უფრო წინ
ნასულ ზოგიერთ მზერალს.

— თუ მცა არიან ავტორები, რომელთ-
აც არ უყვართ საზოგადოების წინაშე
გამოჩენა, მაგრამ მაინც ყურადღების
ცენტრში ექცევიან. მაგალითად, ზოიად
რატიანი.

პორტრეტის ჯერაც შეუმჩნეველი,
სამიღმიერო არე-მარედან ცალთვალა
დევი, ვაჟა-ფშაველა გადმოიმზირება, პა-
პამის ქიტესა ხარანაულთან ერთად რომ
მიუჯდებოდა ხოლმე ხაჭო-ერბოიან და

— ეს კიდევ სხვა შემთხვევაა. ასეთი ადამიანების ნაწერიდან იმხელა შინაგანი ძალა და სინათლე მოდის, იხილება. ეგეთ მწერლებს მკითხველი თავისით უხსნის გვერდებს, უყვარს, კითხულობს. კი, მოსწონთ ზეიად რატიანი, უყვართ ბესიკ ხარანაული... იციან, რომ ვაჟა-ფშაველა სულ სხვანაირი მწერალია...

ვაჟას თხრობისა და ამშის გადმოცემის განსაკუთრებული უნარი აქვს, განსხვავებულად გრძნობს სიტყვასაც და ამპავსაც... სხვათა შორის, ახლახან ვაჟა-ფუჭველაზე წიგნი დავწერე. წელს ხომ მისი იუბილეა, 26 ივლისს 150 წლის ხდება, ანუ ჩვენ გვყავს 150 წლის გენიოსი, რასაც ჯერ კიდევ გასული საჟუნის დასაწყისში ამტკიცებდნენ და ვისი ნაწარმოებებიც აუცილებლად უნდა ითარგმნებოდეს უცხო ენებზე. ვაჟა-ფუჭველა იქნება თუ აკავი ნერეთელი, ბესიკ ხარანაული თუ რეზი ჭეიშვილი ან ტარიელ ჭანტურია, მარტო თავიანთი კუთხეების კი არა, მთელი საქართველოს ები არიან – მე ეგრე მნამს, სხვანაირად — არა...

ტუციიან ტაბიძე, გრიგოლ რობაძიძე და ბევრი სხვაც. თუმცა ისეთებიც იყვნენ, ვინც ვაჟას ენას უწუნებდა, მათ შორის, საქართველოს ბულბულიც, აკაკი წერეთელი.... არადა, როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ ფშაური კიიღო არ ყოფილა. „ფშაველი და მასი წუთისოცებულის...“ — აი, ამ ბრნენვალე ეთნომოთხრობაში ამბობს ვაკა, რომ „ვეზნისტყაოსნის“ გმირები ფშაველებივთ ლაპარაკობენ... ანუ, ეს ძველი საქართველოს ენა.

აი, ხომ ხედავთ, რამდენი მიმბაძველი ჰყავს ბესიკ ხარანულს?..

— ახალ თაობას გულისხმობთ?

— არა, ვერ ვიტყოდი, რომ ახალ თაობაში ყველა მიმბაძველია. იმას კითამა-მად ვიტყვი, რომ მიბაძვის არ უნდა შეგვეშინდეს. ეს ბუნებრივი პრეცესია. თავიდან, სანაც ფეხზე დადგები, ბაძავი იმას, ვინც გიყვარს. მთავარია, მერე თქვა შენისათქმელი და ბოლომდე მიმბაძველად არ დარჩე. მეგა გამასავო: ა კატაავას.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვაჟაზე
ნიგნი უკვე დასრულებულია და, ალბათ,

ენდა რაც დორ გადის, უფრო და უფრო წინ მიღიან. მითუმეტეს, მათ აქვთ საშუალება, რედაქტორები კა არ აგზავნონ მასალა და გამოქვეყნებას ელოდონ, ინტერნეტში განათვალისწილები და მომენტალურად იხილონ მკითხველის რეაქციაც.

— მათგან განსხვავებით, ოქვენ კარგა ხანს მოგინიათ ლოდინმა. ვგულისხმობ რომანს „ფრენა უკასროდ“, „რომელიც ათწლიანი პაუზის შემდეგ ხელახლა გამოიცა.

ნი, საქართველოში მანამდე არ დატერილა.
— რამ გიბიძგათ მისი დაწერისკენ?
— ჩემი ნათესავი ცხოვრობდა სამი
წლის განმავლობაში გერმანიაში. ჩამოვიდა
და და მომიყვა, რა ყოფაში იყვნები
ქართველები გერმანიის ბანაკებში, როგორ
თაღლითობდნენ, იპარავდნენ და ა.შ. მერე
მე მოვიგონე ამბავი და დავწერე ისე,
როგორც ამას ჩემი უძნელი მთავრმინდელ
ები მოყვებოდნენ, მათი ჟარგონით.

— სხვათა შორის, თავის დროზე
სწორედ უარგონის დამკვიდრებაში გადა-
ნაშაულებდნენ.

— զո, մեց մեճածենքն շարցոնն ու մոմթան կարտուղար լուսականի պատճեն, լուսականի պատճեն և այլ գործառնությունները առաջանական են այս համարությունում:

— მიუხედავად „თალღითური ბე-
გრაუნდისა“, ეს რომანი არ არის ტიპი-
ური ამბავი თალღითებზე. ტექსტში ლიტ-
ერატურული რემინიცენციებიც უხვა-
დაა.

— ერთ-ერთი პერსონაჟი, პუბა კოლუ-
აშვილა, რომელიც „ფრენოლოგიას“ წერს
ძალიან დიდ, ნონით ოც კილოგრამამდე
რომანს, ამზობს, რომ არავის ბაძავს. სი-
ნამდვილეში ბაძავს გრიგოლ რობაქიძეს,
კონსტანტინე გამასახურდიას, პალუ/ზინა/

კონტაქტის გამოყენების შემთხვევაში, თან დაცული
ციფრული ხელში ხვდება დავით გურამანიშვილს და
ძველბიჭურად ურჩევს საქმეს, ოღონძ ეს
ყველაფერი კომიკურადაა მოწოდებული
სიუჟეტი სხვადასხვა პერსონაჟის მიერ
მოყოლილ ამბებს ეფუძნება, თუმცა მთა-
ვარი ხაზი არ ირღვევა. ერთი შეხედვით,
რომანი მხიარული და სასაცილოა, მაგრამ
ბოლოში ძალიან მძიმედ და ტრაგიკულად
მთავრდება... და ამ ამბის მოყოლა დამტკირ-
და იმისთვის, რომ შეფარულად მეოქვად
ეგრე ნუ მოიცემით, ხალხი, ევროპამდე
რომ ჩახავათ. ეგრე არ შეიძლება!... თუმ-
ცა დღესაც იგივე ხდება. ჩემთან მოდანიან
სხვადასხვა ქეყნიდან ჩამოსული ადამი-
ანები, მიყვებიან იქაურ ამბებს და მთხ-
ოვენ, რომ ამ წიგნის გაგრძელება დაგწე-
რო.

— აპირებთ?
— ძალინ საინტერესო მასალები დამი-
გროვდა საფრანგეთში მყოფ ჩვენს ემი-
გრანტებზე. ერთი ხანობა ვაპირებდი,
დამენერა, მაგრამ მერე ვამჯობინე, რომ
ჰერსონაჟები ერთი წიგნიდან მეორეში არ
გადამეყვანა — რომელი აკუნინი მე ვარ?...
თუ დავწერე, ეს იქნება დამოუკიდებელი
ნანარმობი: არც ეს ჰერსონაჟები იქნებია
ან, არც ჟარგონი, სიუჟეტსაც სხვანარად
მოვყენები. ერთი სიტყვით, განსხვავებულ
რომანის შექმნა მინდა, თუმცა ჯერ არ
ვიცი, როგორის... საერთოდ, წერას რომ
ვიწყებ, არასოდეს ვიცი, რა გამოვა, საით
ნამიყვანს ამბავი. მე თუ მეტახავთ, როცა
ნინასწარ გამზადებული სქემით მოქმედებ,
მწერალი კი არა, ხელოსანი ხარ, ხოლო
შენს დაწერილს „გავეთებული“ წიგნი ჰქვია
და ამისთანა წიგნებით სავსეა მაღაზიები
მწერლობა კი გაცილებით რთულია. ნი-
ჭთან და მონდომებასთან ერთად უამრავი
ფაქტორი უნდა დაემთხვევს, შენც ცდა არ
უნდა დააკლო... და მაინც, საბოლოოდ, ან
გაგიმართლებს, ან — არა. ხშირ შემთხ



ვევაში არ უმართლებდ ხოლმე. მეც მქონია ასეთი მომენტები, მაგრამ ხელები არ უნდა დაუშვა, არ დანებდე. ერთიცაა, ნანერში შენი შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა ჩადო და წიგნი რომ გამოვა, ის აღარ გექნება სათქმელი – ხომ შემეძლო, მეტი გამეცეცებინაო.

— ცონბილი „კუნინოლოგი“ ბრძანდებით, მისი რამდენიმე რომანი თარგმნეთ. რამდენადაც ვიცი, მასთან კარგი პიროვნული ურთიერთობაც გქონდათ. რა ხდება ამ ეტაპზე, ხომ არ აგრძელებთ კუნინის მსხვილმასშტაბიანი ნაწარმოებების თარგმნას?

— სხვათა შორის, უნიტიერესი ადამიანია, რომელსაც თხრობის საოცარი უნარი აქვს. აიღებს სიუჟეტს XIX საუკუნის დეტექტივიდან და მოყვება თავის ამბავებს. ძალიან საინტერესოდ წერს. აკუნინის სამირომანი ვთარგმნე — „აზაზელი“, „ლევიათანი“ და „თურქული გამბიტი“. პირველად „აზაზელი“ გადმოვაქართულე და ყველაზე მეტადაც ის მიყვარს. ამ რომანში მთელი რიგი სტილისტური ექსპერიმენტები ჩავატარე. შევეცადე, ილია ჭავჭავაძის ის სტილი გადმომეტანა, რაც მან ალექსანდრ ბუვიეს „იზას“ თარგმნისას შექმნა. ენობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესო გამოვიდა. თარგმანი იმდენად შემოქმედებითი იყო, რომ მიეცვდი, დედანს ძალიან უცილდებოდი, ამიტომ შემდეგი ორი რომანი უკვე ტექსტთან მიახლოებულად ვთარგმნე. ამ პროცესმა იმდენად დამძალა, თარგმანისთვის ხელის მოკიდება აღარ მიხდა. იმხელა ენერგია მიაეცს, რომ მირჩევნია, საკუთარი ვწერო.

— ახლა ნერთ რამეს?
— კინოსცენარი დავწერე — ჩემით,
შეკვეთის გარეშე. „ჰელენა“ ჰქვია და ლა-
ზების თემას ეძღვნება. საერთოდ, მგონია,
რომ საქართველო ვალშია ლაზებთან,

ରନ୍ଧରାତ୍ମକ ଦେଖିଲା ଯୁଗମାରିବାକି ଗାଥା
ହିଙ୍କଣାଟାଙ୍କ ଏକ ଉପର୍ବର୍ଷରୀତି, ତୁ ଗାଲୁଗୁଳୁ
ନେହିଁ ହିଙ୍କଣାକୁ ମୋପଲିଲ ଲାଚିର ସର୍ବ-
ଲେବାକୁ କାରାଜା ଓ ଗନ୍ଧିବାକୁ ଏକ ହାତିଲାଗିଲା.....
ଶୁଣି ମେହିହିଙ୍କଣାବା, ରନ୍ଧର ସାତାନାଫଳ ପୁରା-
ଦଳେବାକୁ ବେଳ ବାକୁପେତ. ତିତିର-ରନ୍ଧରାତ୍ମକ
ଏକାତ୍ମଶୁଣୁଳି ଗମିରି ସାକ୍ଷିତିଶେ ବେଳ ଶ୍ଵେଲିବା.
ବ୍ୟକ୍ତିରକବଳି, ଶେମ୍ବେକିମିନା ପରେନାରି, ରନ୍ଧରାତ୍ମକ
ଦାଗଗାନାଥେବଦା, ରନ୍ଧର ଲାଚିତିପି ସାକ୍ଷାର-
ତବେଲାକୁ, ହିଙ୍କଣି ଶୁଣିଲା, ହିଙ୍କଣି ନାହିଁଲା.
ଶନ୍ତର୍ବେଦାତ୍ମ କିନ୍ବନ୍ଦୁଶ୍ଵେନାରି, ରନ୍ଧରାତ୍ମକ
ବିତାତ୍ମ ଜୀଲିମି ଗାଲାନିଲେବେନ ଦା ଏକା ରନ୍ଧରାତ୍ମକ,
ରନ୍ଧରାତ୍ମକ ନାହିଁକିମାର ଦା ବ୍ୟକ୍ତିରଦଳି ଗାଲା-
ଦେବା.

მუშევრები გაცოცხლდა: როგორ გადიან ლაზები ზღვაში თავიანთი ფელუკებით, როგორ უმღერიან და შეულოცავენ ზღვას, რომ თევზი დააჭირინოს და როგორ თევზაობენ მაშალების შუქზე მთვარიან ლამეში... მოკლედ, არაჩევულებრივი ნახ-ატებია. ძალიან ბევრი ვიწრომე მასალის მოსაგროვებლად: ბევრი ისტორიული და ეთნოგრაფიული წეგნი წავიკოთხე, თან მე-გობრებიც და სრულიად უცონბებიც კი მექმარებოდნენ და აი, ეგრე დავნირე საზღვაო კინომაბავი, რომელის მიღმაც ჭექა-ჭეხილით, ბერომებით და ქართულებით ღმერთი ლაპარაკობს და იმისი ხმა მინდა გავაგონო სხვებსაც.... ბედნიერი ვიქნები, თუ გადაიღებენ ფილმს, რომელ-საც ბევრი ნახას და ამ საოცარი ხალხის შესახებ გაიგებს. შეიძლება არც არავინ გადაილოს, მაგრამ საკუთარ თავთან ხომ მაინც ვიქნები მართალი — დიდი ხანი ვი-ფიქრე და ბოლოს მაინც მოვყევი ლაზე-ბზე.

ესაუბრა ნანა პოპაიძე

გურამ მეგრელისტვილისა და თამაზ დემეტრაშვილის „iratta.ru“ მხატვრული პროექტია რუსულ-ქართული ომის შესახებ. ავტორები ცდილობენ ახალი რეალობა შექმნან, განსხვავებული და მაინც მასთან მიახლოებული.

თავიდანვე გაცხადებულია, რომ მხ-
ატვრული სურათი ინტერპრეტაციას წარ-
მოადგენს — ასე არ მომხდარა, მაგრამ
შეიძლებოდა, რომ მომხდარიყო. თანაც ამ
ახალ ისტორიას კეთილშობილური მიზან-
იც ამონრავებს — ავტორებს სურთ „საქართველოს მოსახლეობის ერთ
ნაწილში გამეფებული პესიმიზმის“ დაქლ-
ევა. 2008 წელს მომხდარი ფაქტი, ჩვენთვის
არასასურველი და დამანგრეველი, შეცვ-
ლილია: მოცემულია ახალი რეალობა, სა-
დაც ჩვენი ჯარი და ხალხი ერთობლივად
ამარცხებს მტერს და თავდადების მაგალ-
იოს იძლევა. როდესაც რეალობა გაუსა-
ძლისი და აუტანელი ხდება, ადამიანთა
ერთი კატეგორიისათვის მართლაც არის
დამახასიათებელი წარმოსახულში ცხ-
ოვრება. ამ რომანის მიხედვით, ჩვენმა
ჯარმა ცხინვალი დაიკავა, დაიცვა და
მტერი უკუაგდონ. ჯავაში დარჩენილ მონ-
იხანაღმდეგეს შეუტია, მაგრამ საერთა-
შორისო ხელშექრულებამ მოუსწრო და
შეჩერდა.

ორივე ავტორს საკუთარი ტექსტი აქვს
შემოთავაზებული, ერთი მხატვრული სუ-
რათია, მეორე სამხედრო-სტრატეგიული
ქრონიკა. ომისა და მშვიდობის ამჟღი ორ-
განულად უკავშირდება ერთმანეთს. თბი-
ლისში განვითარებული მოვლენები
პირდაპირ კავშირშია ცხინვალში მომხ-
დართან. ერთგანაც და მეორეგანაც საერ-
თო მისწრაფების რეალიზება ხდება და
განსხვავებულად ვლინდება, პარალელუ-
რად რუსული სპეცსამსახურები თბილის-
ში ტერაქტებს გეგმავენ.

მეგრულიშვილ-დემეტრაძეების რომანში ომი მარტო სანახაობა როდია, ან ხალხის წმენდისა და ფულის კეთების ან შოვნის საშუალება. ზურგშიც და ფრონტზეც ერთნაირად გეხვდებიან ავანტიურისტები და ფანატიკოსები, გმირები და ლარირები, ჩვენები და ჩვენი მონინააღმდეგები.

ომს საკუთარი კანონები აქვს: არავინ
იცის, ადამიანი თავს როგორ გამოავლენს
ექსტრემულ სიტუაციაში. წამებასა და
ტყივილს ყველა ვერ უძლებს, ხშირად მამა-
ცები და რეინის კაცებად მიჩნეულებიც
ნებდებიან ხოლმე. ასეთ ვითარებაში შეი-
ძლება ჩეცულებრივი, რიგითი და არაფ-
რით გამოიჩინული პირისაგან წარმოუდ-
გენელ გმირობას და სიმრტკიცეს შევხდეთ.
მსგავსი მაგალითები რომანში დამაჯერე-
ბლად არის ასახული. მიუხედავად იმისა,
რომ ავტორებმა ფანტაზია მოიშველიეს
და 2008 წელი სრულიად სხვა შედეგებით
დაასრულეს, წიგნში ასახული პერსონაჟე-
ბი რეალურ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

რომანში მოქმედება დინამიკურია, თხრობა მხოლოდ ოდნავ მდორდება ზურგის აღნერისას. ერთ სურათს მეორე, არანაკლებ მძაფრი, ენაცვლება. ბრიგადის მეთაური სასაკლაოზე მყოფ თავის ჯარისკაცებს უყურებს და შველას არავის-გან ელის, რუსული ომის მანქანა საკუთარ ხალხს უწყალოდ მუსრავს, ისევე როგორც ოსებს და ქართველებს. სოფელში მოხუცები სამიზნედ არიან მიტოვებულნი, მათი გვამები საკუთარი მოქმედებების გასამართლებლად სჭირდებათ, საბაძს ეძებენ, რომ ოფიციალურად ჩაერთონ ომში, თუმცა ისედაც მოქმედებენ და ყველაფერს ანადგურებენ. ადრე შემუშავებული სტრატეგია მხოლოდ რამდენიმე დღე ამართლებს, შემდეგ ყველაფერი იცვლება, მოსახლეობასთან ურთიერთობაც ამის კვალიდა კვალ ხდის.

კერძოდ ის, ვისი მშობელიც ახლა მუხ-
ლებზე იდგა და ლოცულობდა. ლერთის
მეტი მათი მშველელი არავინ ჩანდა“ (გვ.
126). პარალელურად **სტალინი**, იგივე
შორი ცადიკი, ცდილობს ცხინვალიდან
ჩვილი ბაგშის გამოყენას. იგი მღვდლად
გადაცმული გამოიტაცებს ბაგშეს, ხვდება
გამოქცეული ოსის ქალს და მასთან ერ-
თად თავს ტყეს აფარებს, ასევე მღვდლად
გადაცმულ ავანტიურისტს უვარდება
ტყვედ და მრავალი საინტერესო ამბის
მოწმეც ხდება.

სანტერესო პერსონაჟია ალტონ ჰენდ-



ეპა ცნაღაძე

რომანი 2008 წლის ერვანდურები

ერსონიც, უცხოელი დიპლომატი. ალტონი ტერორისტების ხასიათის კარგი მცოდნება. იგი ეძებს საბაბს, „მესამე რომი”, საომარ მოქმედებასთან ერთად ტერორიზმშიც ამხილოს. ალტონის დახასიათებისას ავტორები სულაც არ ცდილან, „საინმუშო” “ან, „კეთილი” უცხოელის შექმნას, საკუთრებული სიძულვილითა და აგრესის ულობით. ამ პერსონაჟების დახატვისას რომანის შემქმნელები არ ერიდებიან მუტონებს, თუმცა საერთო ფონიდან ისინი მაინცდამაინც არ გამოირჩევიან — წიგნი ში უფრო საინტერესო არსებებიც გვხვდებიან.

ქართველი ოფიცერი და შტაბის დიდ-ჩინოსანი ტატო მნიშვნელოვანი პერსონაჟია. იგი შურისძიების გრძნობით არის გამსჭალული, მკაფიო და პირქუშია, ომის მსვლელობისას მისი პირადი მოსაზრებები მეათეხარისხოვნა პრობლემად იქცა და ისიც მთლიანად საერთო სულისკვეთებას ემორჩილება. უხიაგი ხასიათის ტატო შორიდან უყურებს თავის ცხოვრებას, გრძნობს პასუხისმგებლობას ჯარისკაცების წინიშე და ისიც საერთო საქმის, საირ-

ბის ნიბარე და ისიც საერთო საქმის, საერთო მიზნის უპირატესობას აღიარებს.
ამ ერთობლივ რომანში ტერორისტები კი მარტინ კორელი და გადაში პატარა გოგონასათან ეშმაკობი სას წასწრეს და საქვეყნოდ შეარცხინეს.

ის მოქმედება, მათივე შიში და სურვილები დაწვრილებითაა წარმოდგენილი. ტერორისტები სახიფათო საქმეზე არც ოჯახის, არც ფულის გამზ მიღიან, მათ განსხვავებული მიზნები აქვთ. რომანის ავტორთა მსჯელობა ამ შემთხვევაში არ არის ორიგინალური, ისინი იზიარებენ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს, რომ: „ეს არის ადამიანთა ჯიში, რომელიც თითქოს განზრას შექმნის ასიციონირებისათვეს!“

ქმედს ასეთი ოპერაციებისათვის".
რომანის პროლოგშივე ვეცნობით
ტერორისტთა ჯგუფს, რომელიც რუსეთ-
მა წინასარვე ჩამორგა თბილისში: გიორ-
გი ქართული წარმოშობის ჰაკერია,
რომელიც ამ ჯგუფს მეთაურობს, მასთან
ერთი **ჩეჩენიცაა**, რომელიც საკუთარ დას
და დედასაც ააფეთქებს, ხოლო დანარჩე-
ტივია. ძასაც თომასავით უყვარს ძეზობე-
ლი ქალების თვალთვალი და მათი საცვა-
ლების მოპარვა. თომასავნ განსხვავებით
ქოთანას ფონს თანამედროვე ანტურაჟ-
უქმნის, მხატვრობას იბრალებს და
მშობლებიც კამაყოფილდებიან მისი გამოგ-
ონილი გენოსობით, ნიჭიერებითა და ვი-
თომ გამოიფენისოთვის მზადებით.

„iratta.ru“ საზოგადოების მრვალფეროვნებით გამოიიჩინა, მასში მრავლად მონაცემები და მომსახურებები მოიხსენიერდები.

არიან ადგილობრივი თუ საერთაშორისო
მასტერიაბის ბედისმაძიებლები, კარგად
არის გაზმოცემული ომის წინა პერიოდი,
თავად ომის მიმდინარეობა და მყითხ-
ველისთვის ასე თუ ისე მისაღები და სა-
სურველი დასასრული.

ცალკე აღზიმების ღირსია საბოლოო
შედეგი, რომელიც ერთგვარი უხერხულო-
ბის შეტკეცელიცაა. ჯარს, მასას არ აქმაყ-
ოფილებს მიღებული გადაწყვეტილება,
როცა პოლიტიკოსები ბოლომდე არ იძლე-
ვიან საომარი ოპერაციის ჩატარების
ნებართვას. წიგნის ავტორები პარალელს
ავლებენ აფხაზეთის ომთან, როცა სრული-
ად გაუგებარი შეჩერებისა და უკან დახე-
ვის ბრძანება გაიცა. ამ ეპიზოდის აღნერ-
ისას აშკარაა მეომართა და პოლიტიკოს-
თა დაპირისპირება, მებრძოლები
ყოველთვის უნდობლად უყურებენ
გამონკეპილ ფრანტებს, რომლებიც ათას-
თა შრომას ხშირად აუზრალოებენ და
ზოგჯერ აშკარად უგულებელყოფენ....

„iratta.ru“-ს ავტორები არ ერიდებიან, დაუფარავად იმსჯელონ და ილაპარაკონ რუსეთისა და თურქეთის ბატონობაზე, მათ შორის განსხვავება-მსგავსებაზეც. მოხერხებულად არის ჩართული ინტერნეტ-დისკუსიაც და ბჟეზინსკის „დიდი პოლიტიკური ცვლილებები“. რელიეფურად არის წარმოდგენილი ჭრელი მასის ზოგადი განწყობა, რომელიც მიღრეკილია დიადის დამცრობისა და გაბიაბრუებისაკენ. განსაკუთრებით მოსაწონია წიგნის ტრიი, რომელიც არ არის ურაპატრიოტული და ყალბი პათეტიკის შემცველი. ზომიერება, ყველა მოსაზრების ასახვა, განსხვავებული აზრის მოთმინებით გაანალიზება და მოწოდება, მკითხველსაც სიმპათით განაწყობს ტექსტისა და ავტორთა მიმართ.

ავტორებმა „საჭირომანო“ ფინალი შემოგვთავაზეს: ერთადერთ ეჭვს და უნდობლობას იწვევს ის, რომ „გამარჯვებით“ მთავრდება ის ბატალიები, რომლებიც 2008 წელს სინამდვილეში კრახით დასრულდა. არსებული რეალობის გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ შესაძლოა „iratta.ru“ პროპაგანდის ნიმუშს წარმოადგენს. როცა დიდი ქართული ომის 2008 წლის მონაკვეთი ისე დასრულდა, როგორც დასრულდა, ჩვენ ბუნებრივად გვიჩნდება ამგვარი კითხვაც: ხომ არ აჯობებდა შევგუებოდით რეალობას, თვალი გაგვესწორებინა მისთვის და მშვიდად შევდგომოდით ახალი ეტაპისათვის მზადებას. მთელმა ქვეყნამ იცის, რომ ჯერ არაფერია დასრულებული, არაფერს დასმია წერტილი და 2008 წლის ტრაგედიის დასრულებისთანვე დაიწყო ჩვენი ახალი „ომი და მშვიდობა“. ავტორები რატომ არ ენდობიან თავიანთ ხალხს, რატომ ვერ გრძნობენ, რომ რუსეთს შეჭიდებული საქართველო ისედაც გამარჯვებულია „თავგანწირულის სულისკვეთებით“ და რაში გვჭირდება გამარჯვების გამოგონება? ისინი გვიხსნიან: „ამ რომანის დაწერა საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილში გამეფებულმა პესიმიზმა გადაგვანებულინა. გადაგვანებულებინა იმ მოსაზრებამ, თითქოსდა ძლიერ მტერთან ბრძოლას აზრი არა აქვს. ჩვენს მიერ შექმნილი რომანის სამყაროში შემოქრილი მტრის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკრული ხალხი და ჯარი დგას და ამას საოცარი შედეგი მოაქვს“. ერთ მუშტად შეკრული ხალხი და ჯარი მაშინ მოიტანს შედეგს, როცა „გულას მოფხანის“ მაგიერ არსებულ რეალობას თვალს გაუსწორებს, გააანალიზებს და შესაბამისად იმოქმედებს. ჩვენს ხალხს არაფერში სჭირდება გამოგონილი გამარჯვება, ეს დამამცირებელია მისთვის და ავტორებიც ძალიან შეცდნენ ამ მომენტის გათავისებისას, უფრო სწორად, ამ მომენტის გრძალობისას.

„iratta.ru“ კარგად შეთხზული ტექსტია და ყალბი ფინალის მეტს ვერაფერს დავუნიჩინოთ.

საზოგადოების დამოკიდებულება სიყ-
ალბისადმი ძირითადად ერთგვაროვანია.
შეიძლება გარეგნულად ვეგუებოდეთ მას,
მაგრამ აუცილებლად ვამჩნევთ და
გვაწუხებს — როგორც კი ყალბი ნოტა
გაერევა ასე თუ ისე კარგად აგებულ
ნანარმოებს მთელ პერს უკარგავს. ამიტო-
მაც ვიწუნებთ ავტორების კონკრეტურიას

ქეთევან შენგელიას შემოქმედების საუკეთესო ინდიკატორი მისივე ესეებია. 2009 წელს გამოსული ესეების სათაური ("ცეცხლი და მდინარე") ლიტერატურული ექიმია ამავე წელს დასტანდული ლირ-

ନ୍ୟୁଲି କରେବୁଲିବା, ସାବେଳନ୍ତରୁଙ୍ଗେବିତ —
„ମ୍ଭେ ଦା ଲର୍ଜୁବେଲି.” ଉସେବିଳି ନୀଗନ୍ତି ସା-
ତାରୁଶି ଗାମପ୍ରତାନିଲି ମାତ୍ରେରାଲିଠ୍ୟେବୁଲିଲି
ଶ୍ଵିପ୍ରିୟେବି — ଆପେକ୍ଷଣ ଦା ମଧ୍ୟନାର୍ଜ (ନ୍ୟାଳା)-
ପ୍ରେଚ୍ଛିବାଶି ମଥିଲିବା ଲର୍ଜୁବୁଲିଲି ମହାତ୍ମାଗାନ୍ଧି-

მეტაფორულ დატვირთვას იძნეს.
ფუნქციურად ორივე კრებული ერთ
მთლიან ინტეგრალურ სისტემაში შეიძლე-
ბა მოქმედობას, როგორც ავტორის სულიერ-
ინტელექტუალურ მიდრეკილებათა ჯა-
მური მაჩვენებელი.

დაცული თავისებური საკუთარებებით. ამიტომ სისტემურ ურთიერთნდობაზე დამყარებული ეროვნული თანაცხოვრება ისევრჩენივე კულტურაშ უნდა გვასწავლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვათა მიერთუნდაც მრავალგზის ნაჩხრეკ ძველ იდეაზე ახლის დაშენების ცდა თავად შეიძლება, იქცეს იდეის მესაფლავედ, შესაბამისად, კულტურათა „შეულლების“ საკრალური აქტი ვირ შედგება.

ერთი შეხედვით, შეუთავსებელ კულტურულ გამოცდილებათა შორის შუაკაცად ქეთევან შენგავლიას „ტრადიციონალისტ-

ზაზა გოგია

ქათავან შენგელია

ევროპოცენტრისტი” გრიგოლ რობაქიძე
მიაჩნია, რომელიც ვაჟასეულ საზოგა-
დოებრივ ორგანიზმში ეძიებდა კაცობრი-
ბარათაშვილის „სული იბლივისა” და „ჩემ
ლოცვის” ემციურ-ინტონაციური მახ-
ვილები იგრძნობა:

„ლექსის და სამშობლოს

ყოველთვის უზდ
შენი სული და შენი ღირსება,
მაშინაც, როცა გული ძოლმით და
ამ წუთისოფლის შხამით იცხება

მოვდივარ მარტო, მოვდივარ შენსკე
ძალიან ხშირად ქანცგანყუვეტილი,
ფერფლად ვიქეცი და მაინც ვინვი
ფიქრის და დარდის მრავალნერტილი
(„ყოველთვის მოდის გამოცდის ჟამი“)
მრავალნერტილი უსრულება ანიშნ

კუნძულობრივი უზრუნველყოფა ადგინდა
აფს და უსასარულოსაც. ინშინის „ორმაგა
აკითხვის“ შესაძლებლობა ორმაგი დასკვა
ის საშუალებასაც იძლევა. ერთი ონ-
ლოგიური ხასიათისა — ყოფიერები
აჭუჭისაგან თავის დაღწევის წადილი
ეორე მხატვრულ-მეტაფორული — სიც
ცხლის „უკვდავების“ ფიგურალურ
ამოხატულება.

მანდელშტამი ერთ-ერთ ლექსში წერს
ომ ტუჩებზე აღრე, შესაძლოა, ჩურჩულ
შვა („*Áu öù i i æåd i ðåæää å* óæå ði æëëñt
vættü h è“). ასე კარგად არ გვიპოვთ მას.

კი განწყობაა. ქეთევან შენგელია და მარტინ სურექსების უმრავლესობაშიც საგნის მინიჭებული განწყობით იზომებადა არა სიიდით, ფიქოლოგთა ენით, განწყობა ხელავს და არა თვალი (ეს აზრი პეტრე მოიკულის მიერ სულიერების უმაღლესაანგშია აყვანილი — რწმენით სიარულისა არა ხილვით). განწყობა, მხედველობის გან განსხვავებით, დაზღვეულია ოპერატორი დამომილებისაგან, ამიტომ სოციუმის რეალურ წყლულებს „მიუკერძოობად“ აშიშვლებს, სუბიექტური და ობიექტური



ტური სამყაროც ერთ წერტილში იკვეთება:

„უცხოა ეს ცაც, ეს ვარსკვლავებიც,
ხალხიც უცხოა, მთვარეც და მინაც...
თითქოს ყველაფერს უცვალეს სახე
და სიხარული მირაჟად იქცა.
ეს უშედეგო ფიქრება იცის,
გაცამტვერება ყველა სალბუნის...
გაღობა მაინც შემომაშველეთ,
ო, „აღსავალთა“ სულის ფსალმუნი
უცხოა ეს ცაა...”

გალაკტიონის „ხინაპართაგან ხავიდა
ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ურამაშული“
და ქეთევან შენგელიას „უცხოა ეს ცაც, ეს
ვარსკვლავებიც, ხალხიც უცხოა, მთ-
ვარეც და მიწაც,“ ორი ეპოქის მწეუბარე
მონოლოგია ემოციურად გამაეთიანებე-
ლი ღერძით (განწყობით). ამგვარი განწყ-
ობის სუბიექტური გამოვლინება
კვაზიკულტურულა სინამდვილასაგან
გამიჯვაა, ობიექტური მიზეზები —
მოლოდინის კრახი და საზოგადოების

ზნეობრივი გადაგვარების საფრთხე.
ჩვენ და გარესამყარო ურთ-
იერთვზემოქმედებთ ერთმანეთზე. როდე-
საც ჩვენი წარმოდგენები სოციალურ
გარემოსთან თანხმობაშია, ჰარმონია მეტ-
ნაკლებად შენარჩუნებულია. ხოლო როდე-
საც საგანთა ორგანული შეთვისების,
სტოლთა თქმით, „კატალეფსისს“, პრინ-
ციპი დარღვეულია, პიროვნების წარმოდ-
გენებსა და გარემოს რეალურ სურათს
შორის განხეთქილების ნაღმი იდება. თუკი
გარემო მანკიერია, ზნეობრივი პიროვნებ-
ისათვის ნიღბის ამიერედების შანსი პრაქ-
ტიკულად გარდუვალია. ამ აზრის პოეტ-
ური ვარიაციაა ქეთევან შენგელიას ლექ-
სი-მონოლოგი „უხერხულია:“

„უხერხულია, ვიდაცის ხარჯზე
ნარმატებული გერქვას ამჟღვენად,
ყველა დიადი სულის პატრონი
გზად ცრემლიანი თვალებით შედგა.
უხერხულია, შენ იცინოდე
და მათხოვრობდეს ქუჩაში ბავშვი,
უხერხულია, ჯიბეში გედოს
ყველა კარებში გამსვლელი საშვი,
უხერხულია, დააკანონო, რაც გაწყობს
და სხვებს ურჩიოთ თანაც,
უხერხულია, სხვისთვის ლესავდნენ,
შენ ამონმებდე დასაკლავ დანას.
უხერხულია, შენი თაობის
სისხლი და ხორცი შენვე გშიოდეს.
„რქამოტებილი“ შერჩები ბილიქს,
ორავნიდან საძირმოა „

დღიული კურსების საცილისთვის.
ლეგენდის მხოლოდ შინაარსს გამოდევნენ
ბა, უფიქრობ, უიმედო საქმეა, ვინაიდან
ლირიკა ნაკლებად ემორჩილება პრაგმატ-
ული მართლზომიერების პრინციპს. მთა-
ვარია, პოეტმა იქ დაგვანახოს შუქი და
ჩრდილი, სადაც მას ვერ ვხედავთ. არც
მკითხველის სიჭარბეა ლიტერატურული
გემოვნების უტყუური მაჩვენებელი, მაშინ
როცა ჭეშმარიტი მნერლობისადმი ერთ-
გულება იშვიათ ფუფუნებად იქცა. („ქარი
ამინდის განა ნაკლია, მაგრამ ცოტა ჰყავს
ნაერთგულები” — ქ.შ.). ამაზე დღევანდე-
ლი მასობრივი მკითხველის ლიტერატუ-
რული სუროვატით ზღვარგადასული
გატაცებაც მეტყველებს. ქეთი შენგელია
საკუთარი ღირსების მცნობი პოეტია, ამი-
ტომ მისი თვითმოთხოვნის თამასა არც
„ძლიერთა” მქუსარე აპლოდისმერტებზეა
გათვლილი, არც მდარე გემოვნების აუდი-
ტორიის შეზღუდულ ინტერესთა დონეზე.



ბასიო

*
სადაა მთვარე?!

ტაძრის ზარს ჰერცოგის,
ზღვაში ჩავარდნილს.

*
საფლავზე გასვლა.
მთელი ოჯახი —
ყველა თეთრი თმით და ხელჯოხებით.

*
ცალმხრივი ტრფობა.
მაცუსიმაში
ვიღაც იცდის დილა-საღამოს.

*
ღრუბლები ცაზე მოდიან და
კიდეც მიდიან.
კაცს შანსს აძლევენ, მთვარეს უყუროს.

*
არ მობრუნდებით ჩემკენ?
მარტო ვარ.
საღამო არის შემოდგომისა.

*
სულ მინდა ხოლმე,
ნამის წვეთებით
ქვეყნის ჭუჭყი რომ ჩამოვირცხო.

*
დღე არის ბუდას გარდაცვალების.
ბებერი ხელი მავედრებლის.
ხმა კრიალოსნის.

*
ბრინჯას ჩენჩის აცლის,
თვალს მთვარისენ
აპარებს ბავშვი.

*
ერთ ჭერქვეშ სძინავთ
ბერს და მეძავს.
მინდორში — მთვარე.

*
მოხუცი ქალი, მიტოვებული.
სახეზე ვუცქერ —
მისოვის მხოლოდ მთვარეა ქვეყნად.

*
მოდით, იხილეთ
მარტობა — ხეზე ფოთოლი,
ერთადერთი ფოთოლი მხოლოდ.

*
მიმოიფანტა ცაზე შავი ღრუბლების
გროვა.
განათებულ მთებს
შეგიძლია უკვე უყურო.

*
უმთვარო ღამე.
ძლიერი ქარი,
ბებერ კედრებს გადახვეული.

*
შემოდგომისას უსტვენს ქარი.
თუკი მინდორში
ჩემსავით ღამეს გაათენებთ, ჩემს ლექს
გაიგებთ.

*
აფუთფუთდება გულში სევდა,
როცა ყინვაში, გარეთ, „ჭრი-ჭრიო“,
საწალობლად კვნესის ბამბუკი.

ბუსონი

*
მთვარის ნიმბის ქვეშ
ცას სწვდება უკვე
ქლიავის თეთრი ყვავილის სუნი.

*
მიყვარს ეს ორი ქლიავის ხე,
ერთი რომ ადრე,
ხოლო მეორე ოდნავ გვიან ისხამს
ყვავილებს.

*
ვეება ზარი.
მის კიდეზე
სძინავს პეპელას.

*
მოწყენის დროა.
ანესის მედი
მოქაჩა ქარმა შემოდგომისამ.

*
მთვარე ანათებს ქლიავის ხეს.
ტოტიდან ტოტზე
მოუსვენრად დაფრენს ღამურა.

*
სრულ სიმშეიდები,
მნახველთა თვალს მოფარებული,
გადაიშალა ყვავილები ქრიზანთემისა!

*
ბილიკი მინდვრად.
ამ ტირიფს იქით
უკვე საღამოს ბინდი იწყება.

*
მთვარე ნისლშია.
აამღვრია ბაყაყმა ტპორი.
სად ცა არის და სად წყალია, ვერ
გამიგია!

*
თუ ორი მაინც
თითო-თითო პეშვ წყალს აიღებს,
გამოეთხოვე სიანკარეს ნაკადულისას.

*
თეთრად ყვავილობს
ქლიავის ხე.
თენდება თითქოს.

*
არსად ჩანს ხიდი.
მზე იძირება,
გაზაფხული მიედინება.

*
გული დამეწვა.
საწოლ ოთახში მკვდარი მეუღლის
სავარცხელზე დამედგა ფეხი.

*
ნისლშია მთვარე.
ვიღაც მარტო დგას
აყვავილებულ მსხლის ხეებს შორის.

*
აყვავებულან ალუბლები.
ტოტებს შორის
ძლიერ ჩანს ტაძარი.

*
აყვავებული მსხლის ხის ძირში
დამზადარა ქალი.
მთვარის ლამპაზე წერილს კითხულობს.

*
შინ დაბრუნდიო,
სავსე მთვარე ასე ეძახდა,
ის კი კარტოფილს იღებდა მინდვრად.

*
არანაირი
კვალი ბალში.
მოჭრეს პიონი.

(იქნებ ჯობს, მოკვდე, სანამ
ორმოცის გახდები)

ბებერი გოგრა.
ყვავილები კი
ასეთ სირცხვილში არასოდეს
ჩავარდებიან.

*
სოშოს ველური ბატებისთვის
ცრუმლის მიზეზი —
ღრუბლებში მთვარე.

*
ყვავები ბინდში.
ერთიმეორის მიყოლებით
ფრენასა წყვეტენ.

*
ტევრის სიღრმეში
ნაჯახის კაცუნს
ხეზე კაცუნი ერთვის კოდალის.

*
გზა — გრძელი, მძიმე.
წვიმა, ვით ფეხი მოგზაურის,
სამუშარებს თელავს.

*
ერთი რქა მოკლე, მეორე — გრძელი.
ეს ლოკოკინა
რას ფიქრობს ნეტა?

*
ახლად შეფოთლილ ტოტებს შორის,
მთის კენენერზე,
გორიზი ციხესიმაგრე მოჩანს.

*
გაზაფხულის ზღვა.
მთელი გრძელი დღე
ბიბინებენ ირგვლივ ტალღები.

*
შემოდგომაა.
ქარი კენჭებს
აყრის გუმბათებს.

*
უხვთოვლობაა.
უზარო სოფელ
ნთქავს ბნელი ღამე.

*
გუშინაც, დღესაც,
საითაც წაველ,
მაღალ ალუბლებს გადავეყარე.

*
სახლი შორსაა.
მიგბიჯებ გაწელილ გზაზე.
ნიავია გაზაფხულისა.

*
ღრმა არის წყალი.
ალესილი ნამგლის ხმა ისმის.
ლელქაშსა ჭრიან.

*
აზალიები აყვავილდა.
ქვები გამოწინდა.
ბედნიერებას აფრქვევს ირგვლივ
სუყველაფერი.

*
ჩაის ყვავილი.
ეხვევა კლდეებს,
ავსებს ბილიკებს.

*
მშრალი ზამთარი.
შავი ყვავი
და თეთრი წერო.

*
ფეტვის საპალნის
სიმძიმისგან წაიქცა ცხენი.
ჩიტი კი მღერის.

*
უბერავს ქარი.
თეთრად ჩანან
წყლის ფრინველები.

*
იელვა.
ისმის, ნამი ბამბუკს
როგორა სწვეთავს.

*
ყველგან ასკილი.
თითქოს მშობლიურ სოფლისაკენ
გზას მივუყვები.

ისა

*
ფრთხილად, კალიავ,
არ დაამსხვრიო
ნამის მბრძყინავი მარგალიტები!

*
ზღვის ლოქორები!
იაპონებს
სულაც არ გვანან.

*
დასაწყისია გაზაფხულის.
ჩემი ეზოსკენ
ნიალვარი მოედინება.

*
სახე მოუგავს
საგვარეს გაზაფხულისას.
თორმეტი წლისა იქნება ალბათ.

*
უხვთოვლობაა გაზაფხულის.
ყველაფრიდან ჩანს,
რომ ეს თოვლია უკანასკნელი.

*
ყვავის ქლიავი.
ექსტაზია
ეს გაზაფხული.

*
გაზაფხულის დღე.
გუბურებში
ყოვნდება იგი.

*
გილოცავ, ისა!
ახალ წელს შენთვის
კოლოს პირველი ნაკენი მოჰყვა.

*
ჩემს სოფლის სახლში
ალუბლები
ყვავიან ახლა.

*
როგორც დაიწყო,
იქვე გაეჩნდი.
თოვს ხვარიელად.

*
აქ სინანოა.
მთვარე, ბუდა,
კარგი განწყობა.

*
მბრძყინავი მთვარე.
ნამდვილია თუ... თუ შეიძლება,
ისიც განქარდეს?

*
ო, რა მთვარეა!
ნეტავ აქ იყოს
განსვენებული მეუღლე ჩემი.

*
გათენდა.
ხიდან ჩუმად მოწყდა
ხმელი ფოთოლი.

*
აბა, ბუზებო,
თავისუფლად ისიყვარულეთ!
მივდივარ უკვე.

*
ხე მოსაჭრელად მოუნიშნავთ,
ხოლო ჩიტები
ზედ ძველებურად უდარდელად იწნავენ
ბუდეს.

*
თოვლი დადნა და
სიხარული დაეტყო ყველას —
ვარსკვლავებსაც კი უბრძყინავთ სახე.

(50 წლის განმავლობაში ერთი
დღეც კი სავსე ოჯახში
არ მიცხოვრია და აი, ამ
გაზაფხულზე დაკორნინდი)

ფრთხილად, გუგულო!
მთვარის ნამგალ
არ წამოედო.

*
ჭრიჭინობელავ, არ იტირო,
ცაში ვარსკვლავთაც
არ ღირსებია სიყვარული მარადიული.

*
შეხე, ბულბული
უფლის წინაშეც
ისევ იმავე სიმღერას მღერის!

*
აღმოხდა მთვარე!
თვით ყველაზე პატარა ბუჩქი
დიდი ზეიმის მონაწილე გახდა
ნამდვილი.

*
ეი, ბელურავ,
გადადი გზიდან,
ვერ ხედავ? — ცხენი გიახლოვდება.

(ზცირენლოვანი შვილის სიკვდილზე)

ნამის წვეთია, ნამის წვეთი
ჩემი ცხოვრება,
და მაინც... მაინც...

*
ნეტავი იმდენ შემოდგომის
ფოთოლს მოიტანს
ქარი, რომ ჩემი ცივი კერის გათბობა
შევძლო?

*
რა უდარდელად ფარფატებენ
ჭრელი პეპელები.
ძუნი კი ისევ ზის მარტოდმარტო.

*
ადამიანის ხმაზე კრთიან
და ცახცახებენ
საღამობით ალუბლები მზეთუნახავი.

*
ისევ ტყუილად
აფრიებს ნისარტს.
სხვისია ბარტყი.

*
თუ ახლა ვინმე უცაბედად
სტუმრად გვეწვია,
სასწავოდ თავი მოაჩვენე ბაყაყად,
ნესვო!

*
ისევ აისი!
მე კი ლამითაც ვეღარ ვმალავ
კანზე ნაოჭებს.

*
ქვემოდან ზემოთ, აუდელვებლად
ბაყაყი უცქერს
მთების მწვერვალებს.

*
ექვს ათეულ წელს გაცდი უკვე
და ერთი ღამეც, ერთი ღამეც კი
ცეკვაში არ დამთენებია.

*
„ჩქარა მომეცით!“ —
მთვარისენ ინვდის
ხელებს მტირალი ბავშვი პატარა.

*
დღეა ისეთი ნისლიანი,
თითქოსდა ყველა
ანგელოზი და ლერთი ერთად
გარდაიცვალა.

*
გვასულელებენ.
ახლოს შიხვალ და —
უცებ ქრებიან ციცნათელები.

*
ადამიანთა სამყაროში
სწეულს ჰგავს
მთვარეც.

*
ღობიდან მტვერს ვწმენდთ,
საკადრისად
რომ დავხვდეთ ბულბულს.

სიკი

*
მე სულ ვკითხულობ,
რამსიმალლე
მოვიდა თოვლი.

(10 წელი სანოლში)

თავი ავწიე.
ახლაც, შემდეგაც
ბალში სამყურებს უნდა ვუყურო.

*
მოკლეა ღამე.
ჩემი სიცოცხლე ნეტავ მასზე
ბევრად გრძელია?

*
ბრძოლის შედეგად
ნანგრევებად ქცეული სახლი.
მსხალი ყვავილობს.

*
სავსემთვარობა.
ვერცხლით მორთული,
ირწევა ლელი.

*
მეექვსე თვის ცა ცარიელი.
სიგრილე და
გუგულის „გუგუ“!

*
თოვს.
თოვას ვუცქერ
დარაბების ღრებიობიდან.

*
გაზაფხულის დღე.
ქვიშიან პლაზე
ნაკვალევი ჩანს, შორს მიმავალი.

*
სწრაფი ტალღებით
მიაქანებს ზაფხულს
მოგამი.

*
საგა.
ზაფხულის ხშირი ბალახი
ლამაზმანების საფლავებს ფარავს.

*
მინყდა ქუხილი.
დაისის შუქზე
ჭრიჭინობელა თავისას მღერის.

*
მაღლა ღრუბლებში
ტოროლები დარღენენ ისე,
თითქოს ბურუსის უნდათ შესუნთქვა.

*
მღერის ჭრიჭინა,
მაგრამ ყრუა
მოხუცი მამა.

*
გახსენ დარაბა!
უქნი თოვლს
უნდა ვუყურო.

*
სანამ ვხატავდი,
იპომეის
დაჭკნა ყვავილი.

*
გაზაფხულის დღე, გაწელილი.
აუჩქარებლად მუსაიფობს
ნავი ნაპირთან.

*
ცხელია ღამე.
გალიაში
არ სძინავთ მწყერებს.

*
მინაზე ყრია
ტელეგრაფის ბოძები უხვად.
ქარიშხალია შემოდგომისა.

*
შუადღე.
ღრუბლებს აცდენილი,
მღერის ტოროლა.

*
კვდება ჭრიჭინა.
მაინც როგორ
ხმამალლა მღერის.

*
გაზაფხულის დღე
ბოლო წერტილს მიუახლოვდა.
გაფრინდა ჩიტი.

*
რა სევდიანი სურათია:
ობიას ქსელში გახლართულან
ჭრელი პეპლები.

*
მიწნარებულა ოკეანე.
მისკენ თამამად
მიფრინავენ უკვე მერცხლები.

*
ეს განთიადი
საჩქერად მიძღვნეს
მოგზაურობამ და გაზაფხულმა.

*
გთხოვ, როცა წახვალ,
არ დაგავიწყდეს — ეს მოწყენილი
შემოდგომაც თან წაიყვანე.

*
ფერმკრთალი მთვარე.
უცებ მომინდა,
მოვიპარო სადმე საზამთრო.

*
საღამოვდება.
ათოვს იხვევს,
ძველ ტბორს შეხიზულთ.

*
რა სიგრილეა!

ხშირ წინგებს შორის
ძლის ილანდება ხომალდის აფრა.

*
შხაპუნა წვიმა გაზაფხულის.
უცებ ქოლგებად გადაიქცა
მთელი ბორანი.

*
უკვე ვიპოვე
მთელი მუჭა ნიუარებისა.
გახარებული ვუხმობ მეგობარს.

*
ხმაურობს ქარი.
სუნთქვა შეიკრეს ბუტონებმა
ჰაგის ბუჩქებზე.

თარგმნა ლელა მეტრეველმა



